ველოდებოდით, სანამ კაცი, რომელიც ჩვენი ჩიკაგოელი თანამომხმეების გაქცევას ტაშით შეხვდა, გამოვიდა და სატვირთო მანქანაში ჩაჯდა. შემდეგ მანქანით მიუახლოვდით, ჩავინიშნეთ მისი სალიცენზიო ნომერი და მაშინვე მოვწყდით ტერიტორიას. როდესაც ქსელი შეიქმნება, ინფორმაცია კონკრეტულ პერსონამდე მონიტორინგის შემდეგ მივა.

როდესაც ბინაში დავბრუნდით, ჯორჯი და ქეთრინი ისეთივე აღტაცებულები იყვნენ, როგორც მე და ჰენრი. მათაც ნახეს სატელევიზიო ტრანსლაცია. მიუხედავად მთელი დღის მანძილზე დახარჯული ძალისხმევებისა, მე ისევე აღარ შემეძლო ძილი, როგორც მათ და ჩვენ ყველა კვლავ მანქანაში მოვგროვდით. ჯორჯი და ქეთრინი ჩვენს ტვირთთან ერთად უკანა სავარძელს იკავებდნენ, შუალამის მოგზაურობაც დაიწყო. შეგვეძლო მთელი ღამე დავრჩენილიყავით მანქანაში, ყოველგვარ ექვგარეშე გვესაუბრა და დილის საათებამდე სწორედ ასე ვიქცევოდით.

ერთი რამ, რაც იქვე გადაწყდა იყო, რომ სასწრაფოდ უნდა დავბინავებულიყავით ახალ კვარტალში, რომელიც ჯორჯმა და ქეთრინმა გუშინ იპოვეს.

ძველი ბინა უბრალოდ არ იყო შესაფერისი. კედლები იმდენად ვიწრო იყო, იძულებული ვიყავით ერთმანეთში გვეჩურჩულა, რომ მეზობლებს არ ეყურადებინათ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენმა არარეგულარულმა საათებმა უკვე გამოიწვია მეზობლებში სურვილი ჩვენი ცხოვრების სპეკულირება მოეხდინათ. იმ სისტემის ფარგლებში, რომელიც ყველას აფრთხილებს, რომ საექვო უცნობების შესახებ შესაბამის უწყებებს მოახსენონ, თვალსაჩინოდ საფრთხის შემცველი გახდა ისეთ ადგილას დარჩენა, სადაც ასეთი მცირე პრივატულობაა.

ახალი ბინა ყველა მხრივ უკეთესია, თუ ქირას არ ჩავთვლით. მთელი შენობა ჩვენ განკარგულებაშია. ეს არის ცემენტის ფილების შენობა, რომელსაც ადრე პატარა მანქანების მაღაზია იკავებდა, ოთახივით მოწყობილი გარაჟით ქვედა და ოფისებითა და საწყობებით ზედა სართულზე.

ამ ადგილს იმიტომ იწუნებდნენ, რომ გზატკეცილთან დამაკავშირებელი ქუჩის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, იმ გზატკეცილის, რომელიც უკვე ბოლო ოთხი წელია დაგეგმვის ეტაპზე იმყოფება. როგორც ყველა მთავრობის პროექტი დღესდღეობით, ესეც მივიწყებულია - შესაძლებელია სამუდამოდაც. ასობით და ათასობით მუშას უხდინან ანაზღაურებას, რომ გზატკეცილებზე იზრუნონ, თუმცა რეალურად არცერთი მათგანი დაგებულა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ქვეყნის გზები თვალსაჩინოდ გაუარესდა და მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვხედავთ მათ ირგვლივ მუშების ბრბოს, შეკეთებულს არც ერთი მათგანი არ ჰგავს.

მთავრობის ინტერესებში არ შედის შეისყიდოს უსარგებლოდ მიტოვებული გზატკეცილის მიწა, ტოვებს რა მის კანონიერ მფლობელს ფულით სავსე ტომრებით ხელში. კანონის მიხედვით, ამ შენობის მეპატრონეს არ აქვს უფლება გააქირავოს ის, მაგრამ მას ცხადია აქვს მოლაპარაკება ვიღაცასთან ქალაქის მერიამში. ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ არ არსებობს ოფიციალური ჩანაწერი ამ შენობის გაქირავებასთან დაკავშირებით, არანაირი სოციალური უსაფრთხოების ნომრები პოლიციისთვის, არანაირი შენობების ინსპექტორები ან მეხანძრეები, რომელთაც პერიმეტრის შემოწმება ევალებათ.

ჯორჯს მფლობელისთვის 600\$-ის გადახდა მოუწია. ის ფიქრობს, რომ მეპატრონე, დანაოჭებული სომეხი, შესამჩნევი აქცენტით, დარწმუნებულია, რომ ამ ადგილას არალეგალური ნარკოტიკების დამზადება და შენახვა გვაქვს ჩაფიქრებული და არ სურს დამატებითი დეტალების ცოდნა. მე ვფიქრობ, ეს კარგია, რადგან ის არ ეცდება ირგვლივ იტრიალოს. გარედან, ეს ადგილი მართლაც ჯოჯოხეთს გავს. სამი მხრიდან გარს დალენილი, დაჟანგული გალავანი აკრავს. ეზოში სულ გადაგდებული წყლის გამაცხელებლები, მწყობრიდან გამოსული ძრავის ნაწილები და ყველა სახის დაჟანგული ხარახურა ყრია. სახლის წინ, ბეტონის ავტომანქანების სადგომი დაზიანებულია და ძრავის ზეთით არის გაშავებული.

შენობის წინა მხარის გადაღმა შეამჩნევთ უზარმაზარ წარწერას: „შედუღება და მანქანის ნაწილები ჯ.ტ. სმიტი & სონს.“ პირველი სართულის ფანჯარას ნახევარი სარკმელი არ აქვს, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ყველა ფანჯარა მაინც გადახურულია.

სამეზობლო სრულიად მოუწესრიგებელი წვრილი სამრეწველო არეა. ჩვენს გვერდით პატარა სატრანსპორტო კომპანიის გარაჟი და საწყობია. სატვირთოები მთელი საღამოს განმავლობაში მიდი-მოდიან, რაც ნიშნავს რომ პოლიციელები ეჭვს არასდროს მოიტანდნენ ჩვენზე, თუ საღამოს საათებში მოძრაობისას შეგვამჩნევენ.

მოკლედ, გადავწყვიტეთ დღესვე გადავსულიყავით. რადგან არ გვქონდა ელექტროენერგია, წყალი და თუნდაც გაზი, მე დამევალა გათბობის, განათების და წყალმომარაგების პრობლემების გადაჭრა, პარალელურად სხვები ნივთებს ეზიდებოდნენ.

წყლის შეკეთება მარტივი იყო, იქიდან გამომდინარე, რომ საცხოვრებელში წყლის მრიცხველი მოვათავსე და სარქველი მოვხსენი. როგორც კი წყალი მოვუშვი, მრიცხველის ხუფი მძიმე მეტალის ნარჩენებით დავფარე, ასე რომ წყალმომარაგების კომპანიიდან მის პოვნას ვერავინ შეძლებს.

სიმართლე რომ ვთქვათ, ელექტროობის საქმე უფრო რთულად აღმოჩნდა. შენობიდან ელექტროგადამცემამდე ჯერ კიდევ იყო კაბელები შერჩენილი, მაგრამ ელექტროობა გათიშული იყო მრიცხველზე, რომელიც კედლის გარე მხარეს მდებარეობდა. მომიწია ფრთხილად გამეხვრიტა კედელი, მრიცხველს უკან და მავთულები ტერმინალებთან დამეკავშირებინა. ამან დღის უდიდესი ნაწილი წამართვა. დანარჩენი დღე ქვედა სართულის ფანჯრის ბზარების ამოვსებასა და მათთვის მუყაოს დაჭედვაში გავატარე, რომ ღამით შენობიდან სინათლის სხივიც კი არ გასულიყო.

ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს გათბობა და სამზარეულოს ნივთები, გარდა ქურისა, რომელიც ადრე შევიძინეთ. თუმცა, საპირფარეშო მაინც მუშაობს და ჩვენი საცხოვრებელი ოთახები

მართალია შიშველი, თუმცა საკმაოდ მოწესრიგებულია. შეგვიძლია დროებით საძილე ტომრებში დავიძინოთ, სანამ რამდენიმე ელექტროგამათბობელს და სხვა საჭირო ნივთებს შევიძენთ.

30 სექტემბერი, 1991 წელი. წინა კვირა იმდენად დატვირთული იყო, დღიურისთვის ვეღარ მოვიცალე. ჩვენი გეგმა ქსელის შესახებ იყო მარტივი და პირდაპირი, მაგრამ რეალურად მის შექმნას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან. სირთულეებმა, რომლის გადალახვაც მომიწია, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ თუნდაც სრულყოფილი გეგმა შეიძლება სახიფათოდ აცდეს გზას, სანამ მასში გაუთვალისწინებელი პრობლემები იარსებებს.

მარტივად რომ ვთქვათ, ქსელის შესაძლებლობა, ყველა ორგანიზაციის დანაყოფი ერთმანეთთან დააკავშიროს, აგებულია ორი სახის საკომუნიკაციო ფორმაზე: ცოცხალი კურიერები და მაღალტექნოლოგიური რადიოგადაცემები. მე არა მხოლოდ ჩვენი განყოფილების რადიომოწყობილობებზე, არამედ ზოგად ტექნიკურ მხარეზე და თერთმეტი განაყოფის მიმღებების მეთვალყურეობაზე, ვაშინგტონის საველე დანაყოფისა და „დანაყოფი 9“-ის ჩათვლით ვიყავი პასუხისმგებელი. ის, რამაც ჩემი კვირა თავდაყირა დააყენა იყო ვაშინგტონის საველე დანაყოფის მიერ უკანასკნელ წუთს მიღებული გადაწყვეტილება, რომ გადამცემებით „დანაყოფი 2“-იც უზრუნველგვეყო. აღჭურვილობაზე ზრუნვა მე მევალებოდა.

პრინციპი, რომლითაც ქსელი მუშაობს, მდგომარეობს შემდეგში: ყველა სახის კომუნიკაცია, რომელიც საჭიროებს კონსულტაციას, ხანგრძლივ კრებებსა და სიტუაციის ანალიზს, ხდება პირისპირ. ახლა, როცა სატელეფონო კომპანიები ფლობენ კომპიუტერულ მონაცემებს ყველა ადგილობრივ და თუნდაც დისტანციურ ზარებზე, პარალელურად პოლიტპოლიცია მათზე მონიტორინგს აწარმოებს, ტელეფონები საბოლოოდ ამოვიღეთ ხმარებიდან, გარდა უჩვეულო, გადაუდებელი სიტუაციებისა.

მეორე მხრივ, სტანდარტული შინაარსის შეტყობინებები, რომლის კოდირება მარტივად და მოკლე დროში შეიძლება, ძირითადად რადიოთი გადაიცემა. ორგანიზაციამ დიდი ძალისხმევა ჩადო 800 განსხვავებული, სტანდარტიზირებული შეტყობინებების „ლექსიკონის“ შექმნაში, რომელთა შინაარსის განსაზღვრაც სულ რაღაც სამი ციფრით არის შესაძლებელი.

მამასადამე, კონკრეტულ დროს, რიცხვი „2006“ შეიძლება შიფრავდეს შეტყობინებას: „დანაყოფი 6-ის მიერ დანიშნული ოპერაცია გადაიდო დამატებითი ცნობების მიღებამდე.“ თითოეულ დანაყოფში ერთმა ადამიანმა უნდა დაიმახსოვროს მთელი შეტყობინებების ლექსიკონი და ვალდებულია იცოდეს კოდირებისთვის საჭირო მიმდინარე ციფრთა შესახებ.

ეს პიროვნება ჩვენს რიგებში ჯორჯია.

რეალურად, არც ისეთი რთულია, როგორც ჟღერს. შეტყობინებების ლექსიკონი სპეციფიკურად მოწესრიგებული მიმდევრობით არის დალაგებული, როდესაც მისი ფუნდამენტური პრინციპის გააანალიზებას შეძლებთ, სრულად დამახსოვრება არც ისე რთულია. შეტყობინებების ციფრული კოდირება თვითნებურად იცვლება დღეგამოშვებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჯორჯს ხელახლა უწევს მთელი ლექსიკონის შესწავლა. საკმარისია

ერთი შეტყობინების ციფრული მნიშვნელობა იცოდეს, დანარჩენი შეტყობინებების შინაარსის გააანალიზება საკუთარი გონებითაც შეუძლია.

კოდური სისტემის გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს შევინარჩუნოთ საკმაოდ უსაფრთხო რადიო კონტაქტი ტრანზისტორულ ჯიბის მიმღებებსა და ჯიბის კალკულატორებს შორის. ისინი ყოველთვის კონტაქტზე არიან და თუ ჩვენი თითოეული გადამცემიდან შესაბამისი ჟღერადობის ციფრული პულსი გავრცელდება, ისინი შიფრს ეკრანზე მიიღებენ, არ აქვს მნიშვნელობა მონიტორინგის ქვეშ იმყოფებიან თუ არა.

ჯერჯერობით, ჩემი მთავარი წვლილი ორგანიზაციაში საკომუნიკაციო აღჭურვილობის ჩამოყალიბება და ფაქტობრივად, მათი გაუმჯობესებული ვერსიის შექმნაა.

კვირას, თითოეულ დანაყოფს ვაშინგტონის სავლე დანაყოფიდან შეტყობინებების პირველი სერია გადაეცა. მან ყოველი ერთეულისთვის გასცა ინსტრუქცია, რომ გაეგზავნათ საკონტაქტო პირი ციფრულად დაშიფრულ ლოკაციაზე, რათა დასწრებოდა კრებას და გადაეცა მოხსენება ორგანიზაციაში არსებული სიტუაციის შესახებ.

ჯორჯი კვირის შეხვედრიდან დაბრუნებისთანავე ჩვენს ინფორმირებას შეუდგა. კრების მთავარი არსი იყო ის, რომ ვაშინგტონის დანაყოფს პრობლემები არ ჰქონდა, თუმცა პოლიტპოლიციაში შეგზავნილი ინფორმატორებისგან მიღებული ინფორმაცია ნერვიულობის საბაბს მაინც იძლეოდა.

სისტემა ჩვენს საპოვნად ყველაფერს აკეთებს. ასობით ადამიანი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ჩვენს მიმართ სიმპათიების გამოჩენასა ან ორგანიზაციასთან რაიმე სახის დისტანციურ კავშირში, აიყვანეს და დაკითხეს. მათ შორის ჩვენი რამდენიმე „ლეგალური“ წევრიც იყო, თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ვერ შეძლო მათთვის რაიმე სახის ბრალეულობა დაემტკიცებინა, შესაბამისად დაკითხვამ რეალური შედეგი ვერ გამოიღო. მაინც ვფიქრობ, რომ სისტემის რეაქცია გასული კვირის მოვლენებზე გადაჭარბებულად ფართომასშტაბიანი და ენერგიული იყო.

ერთი რამ, რაზეც ისინი მუშაობენ არის კომპიუტერიზებული, უნივერსალური, შიდა საპასპორტი სისტემა. ყოველი მოქალაქე, 12 წელს ზემოთ, მკაცრი ჯარიმების მუქარით, ვალდებულია მუდმივად თან ატაროს პასპორტი. არა მხოლოდ პოლიციის აგენტები აჩერებენ მათ ქუჩაში და მოითხოვენ პასპორტის წარდგენას, არამედ ისინი ახლა მუშაობენ გეგმაზე, რომ ეს უკანასკნელი აუცილებელი გახადონ ყოველდღიური ოპერაციებისთვის, როგორცაა თვითმფრინავის, ავტობუსისა და მატარებლის ბილეთების დაჯავშნა, მოტელში ან ჰოტელში რეგისტრაცია და ნებისმიერი სახის სამედიცინო დახმარების მიღება კლინიკასა და საავადმყოფოში.

ყოველი ბილეთის სალარო, მოტელი, კლინიკის ოფისი და მსგავსი დაწესებულება კომპიუტერული ტერმინალებით იქნება აღჭურვილი, რომლებიც სატელეფონო ხაზებს უზარმაზარ, ეროვნულ მონაცემთა ბანკში და კომპიუტერულ ცენტრში დაუკავშირდებიან. მომხმარებლის მაგნიტურად კოდირებული პასპორტი ჩვეულებრივ დაარქივდება კომპიუტერში, არ აქვს მნიშვნელობა ბილეთს იყიდის, გადასახადებს გადაიხდის თუ რაიმე სერვისის მისაღებად დარეგისტრირდება. თუ რაიმე არარეგულარულად მოხდება, უახლოეს პოლიციის განყოფილებაში მყისიერად ჩაირთვება გამაფრთხილებელი სიგნალი, რომელიც

კომპიუტერული ტერმინალის ადგილმდებარეობასა და მომხმარებლის ვინაობას დააფიქსირებს.

ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ შიდა საპასპორტო სისტემაზე და ყველაფერი დეტალურად გათვალეს. ერთადერთი მიზეზი, რატომაც სისტემა დღემდე არ დანერგილა, არის მოკაკანე ქათმები სამოქალაქო თავისუფლების ჯგუფებიდან, რომელიც მასში სახელმწიფოს მხრიდან უკანონოდ გადადგმულ ნაბიჯს ხედავენ და რა თქმა უნდა, ეს ასეც არის... მაგრამ ახლა სისტემა დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია გაუმკლავდეს ლიბერტარიანელების წინააღმდეგობას, ჩვენი განტევების ვაცად გამოყვანით. „რასიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაფერი ნებადართულია!

საჭირო მოწყობილობების მონტაჟს და სისტემის მოქმედებაში გაშვებას სამ თვეზე მეტი დასჭირდება, მაგრამ ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად მოამთავრონ, რათა მედიის მხარდაჭერით მისი სისრულეში მოყვანის შესახებ საჯაროდ განაცხადონ. მოგვიანებით, სისტემა თანდათანობით გაფართოვდება, როცა კომპიუტერული ტერმინალები ყოველ წვრილ დაწესებულებაშიც კი ბოლოსდაბოლოს სავალდებულო გახდება. არავის შეეძლება რესტორანში ივანშმოს, თეთრეული გამოიტანოს ან სურსათი შეიძინოს სალაროსთან მოთავსებული კომპიუტერული ტერმინალის გამოყენების გარეშე, რომელიც მაგნიტურად კითხულობს მომხმარებლის საპასპორტო კოდს.

როცა ეს მოხდება, სისტემას ნამდვილად მჭიდრო ძალაუფლება ექნება საკუთარ მოქალაქეებზე. თანამედროვე კომპიუტერების განთავსებით, პოლიტპოლიციას შეეძლება მიაგნოს ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ დროს და იცოდეს სად არის და რას აკეთებს იგი. ბევრი ფიქრი მოგვიწევს, რომ საპასპორტო სისტემის წინააღმდეგ რამე მოვიმოქმედოთ.

იმის მიხედვით, რაც ჩვენმა ინფორმატორებმა მოგვახსენეს, მხოლოდ პასპორტების გაყალბება და ცრუ ნომრების შექმნა საკმარისი არ იქნება, თუ ცენტრალური კომპიუტერი ყალბ ნომერს დააფიქსირებს, გამაფრთხილებელი სიგნალი ავტომატურად გაიგზავნება უახლოეს პოლიციის განყოფილებაში. იგივე მოხდება, თუ პირობითად ჯონ ჯონსი, რომელიც სპოკანში ცხოვრობს და პასპორტს იყენებს, რომ სურსათი იქვე შეიძინოს, უეცრად აღმოჩნდება რომ დალასშიც სარგებლობს პასპორტით სურსათის შესაძენად. ან თუნდაც, როცა კომპიუტერს აქვს ინფორმაცია, რომ ბილ სმიტი, რომელიც ბოულინგის სათამაშოდ იმყოფება მეინსთრითზე, პარალელურად მშრალი წმენდის დაწესებულებაში ქალაქის მეორე მხარეს აღმოჩნდება.

ეს მართლაც გასაოცარი პერსპექტივა იყო ჩვენთვის - ის, რაც აქამდე ტექნიკურად შესაძლებელი იყო, თუმცა არც კი გვიფიქრია, რომ სისტემა მის შექმნას რეალურად შეეცდებოდა.

კრების შემდეგ, ჯორჯმა შემატყობინა, რომ დაუყოვნებლივ უნდა ვესტუმრო „დანაყოფ 2“-ს და დავეხმარო მათ ტექნიკური პრობლემის მოგვარებაში. ჩვეულებრივ, არც მე და არც ჯორჯმა ვიცოდით „დანაყოფი 2“-ის ლოკაცია და თუ მათთან კონტაქტი საჭირო გახდებოდა, სადმე სხვაგან უნდა შევხვედროდით. თუმცა ეს პრობლემა საჭიროებდა ჩემს უშუალო ვიზიტს მათ სამალავში. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯმა გამიმეორა მისამართი, რომელიც უთხრეს.

ისინი მერილენდში განთავსებულან, 30 მილის დაშორებით ჩვენგან. რადგან ინსტრუმენტების წაღება მიწვედა, მანქანით წავედი.

მათ საკმაოდ კარგი ტერიტორია აქვთ, დიდი ფერმა რამდენიმე დამატებითი შენობით და ირგვლივ დაახლოებით 40 აკრის ფართობის ტყე-მდელოთი. ამ დანაყოფში 8 წვერი ირიცხება, რატომღაც უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ, თუმცა როგორც ჩანს, არც ერთმა მათგანმა იცის ვოლტისა და ამპერის, სახრახსნისის ერთი და მეორე ბოლოს გარჩევა. ეს უცნაურია, რადგან მათ უნარების კეთილგონივრულ განაწილებაზე დანაყოფის შექმნისთანავე უნდა ეზრუნათ.

„დანაყოფი 2“ შესამჩნევად ახლოს არის სხვა ორ დანაყოფთან, მაგრამ მაინც შორს არის ვაშინგტონის არეალში განთავსებული დანაყოფებისგან და განსაკუთრებით „დანაყოფი 9“-დან, იგი ერთადერთი დანაყოფია, რომელსაც ვაშინგტონის საველე დანაყოფთან დამაკავშირებელი გადამცემი აქვს. ამის გამო, ვაშინგტონის საველე დანაყოფმა გადაწყვიტა „დანაყოფი 2“-სთვისაც გამოეყო გადამცემი, მაგრამ მათ მისი ამუშავებავერ შეძლეს.

სირთულის მიზეზი მალევე გახდა გასაგები, როგორც კი სამზარეულომდე მიმაცილეს, სადაც გადამცემი, ავტომობილის აკუმულატორი და მავთულების ნარჩენები მაგიდაზე იყო მიყრილ-მოყრილი. მიუხედავად ზუსტი ინსტრუქციებისა, რომელიც ყოველი გადამცემისთვის მქონდა გამზადებული და მიუხედავად გადამცემის ყუთის ტერმინალებზე აშკარად შესამჩნევი მარკირებისა, მათ მოახერხეს რომ კვების ელემენტი გადამცემისთვის არასწორი პოლარული ნიშნით მიეერთებინათ.

ამოვიოხრე და მანქანიდან ხელსაწყოების გამოსატანად რამდენიმე თანამოაზრე გავიყოლე. პირველ რიგში ბატარია შევამოწმე, როგორც ჩანს სრულიად დაუმუხტავი იყო. ვთხოვე, რომ დასატენად შეერთებინათ, სანამ გადამცემს შევამოწმებდი. დამტენი? რა დამტენზეა საუბარი? - მკითხეს მათ. როგორც ჩანს, არ ჰქონდათ!

იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო დღეებში ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა ეჭვქვეშ იყო, თითოეული ჩვენი საკომუნიკაციო საშუალება მუშაობდა ელექტროსადენებით დამუხტული აკუმულატორით. ამგვარად, ჩვენ არ ვართ დამოკიდებული ელექტროენერჯის მისვლა-მოსვლაზე, რომელიც ყოველდღიური თუ არა, ყოველკვირეული ფენომენი გახდა. ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი მომსახურებები ამ ქვეყანაში, რაც უფრო იმატებს ელექტროენერჯის ფასი, მით უფრო არასაიმედო ხდება ის. ამ წლის აგვისტოში, მაგალითად, ვაშინგტონის ლოკალური ელექტროსერვისის საშუალოდ სრული ოთხი დღის განმავლობაში არ იყო ხელმისაწვდომი, დენის ძაბვა კი 2 კვირის განმავლობაში საშუალოდ 15%-ით შემცირდა.

მთავრობა განაგრძობს მოსმენების ჩანიშვნას, გამოძიებების ჩატარებასა და მოხსენებების წერას ამ პრობლემის გარშემო, მაგრამ მდგომარეობა უარესდება. არც ერთ პოლიტიკოსს არ სურს თვალი გაუსწოროს არსებულ რეალურ ხარვეზებს, როგორცაა ვაშინგტონის ისრაელ-დომინირებული საგარეო პოლიციის სავალალო გავლენა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ამერიკის იმპორტირებული საწვავის მომარაგებაზე.

მე მათ ვანახე როგორ შეეერთებინათ ბატარია მათ სატვირთოსთან სასწრაფოდ დასატენად და შემდეგ მათი გადამცემის შემოწმება დავიწყე, რომ მენახა, კონკრეტულად სად იყო პრობლემა. დასამუხტ საშუალებას მოგვიანებით ვიპოვიდი.

გადამცემის ყველაზე კრიტიკული ნაწილი, კოდირებული შესაერთებელი, რომელიც აკონტროლებს ციფრულ სიგნალს ჯიბის კალკულატორის კლავიატურიდან, უპრობლემო ჩანდა. იგი დიოდით იყო დაცული, პოლარობის შეცდომით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში.

უშუალოდ გადამცემში სამი ტრანზისტორი იყო გადამწვარი.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ვაშინგტონის საველე დანაყოფს, როგორც მინიმუმ ერთი ზედმეტი გადამცემი მაინც ექნებოდა, მაგრამ რომ გამეგო, მათთვის შეტყობინება უნდა გამეგზავნა. ეს გულისხმობდა კურიერის გაგზავნას „დანაყოფი 9“-ში რომ მოთხოვნა გადამეცა და შემდეგ მეპოვა ვინმე, ვინც ვაშინგტონის საველე დანაყოფიდან გადამცემს მოგვაწოდებდა. მე ვიყოყმანე ვაშინგტონის საველე დანაყოფის შეწუხება ჩვენი წესისამებრ, რომელიც გულისხმობს რომ მაქსიმალურად შევზღუდოთ რადიოგადაცემები საველე დანაყოფების მიმართულებით, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა.

რადგანაც „დანაყოფი 2“-ს დამუხტავი ნებისმიერ შემთხვევაში სჭირდებოდა, გადავწყვიტე ტრანზისტორები და დამტენი რომელიმე კომერციული მომარაგების მაღაზიაში შემეძინა და შემეკეთებინა. ამ ნაწილების მოთავსება იმაზე რთული იყო, ვიდრე წარმომედგინა. უკვე 6 საათი იყო, როცა ფერმაში დავბრუნდი.

საწვავის მაჩვენებელი მინიმუმს მიუახლოვდა, როდესაც ფერმისკენ გადავუხვიე. მეშინოდა რა, გამომეყენებინა ჩემი ბენზინის ტალონი ბენზინგასამართ სადგურზე და არ ვიცოდი რა, სად იყო უახლოესი შავი ბაზარი, „დანაყოფი 2“-ში ვთხოვე, რომ ჩემთვის რამდენიმე გალონი ბენზინი მოეცათ, რათა სახლში დავბრუნებულიყავი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი გალონი ბენზინი ჰქონდათ სატვირთოში, თანაც ლოკალური შავი ბაზრის კოორდინატები იცოდნენ.

ვფიქრობდი, ასეთ პროვან და უსახსრო ჯგუფს როგორ შეეძლო ეარსება, როგორც „იატაკქვემა“ დაჯგუფებას. ჩანს, ეს იყო ხალხი, რომელზეც ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ პარტიზანული საქმეებისთვის შეუფერებლები იყვნენ და ერთ დანაყოფში გააერთიანა.

ოთხი მათგანი ორგანიზაციის პუბლიცისტური განყოფილების მწერალია და საკუთარ სამუშაოს ამ ფერმაში უძღვება, ამზადებს რა აგიტაციურ ბროშურებსა და პროკლამაციებს. დანარჩენი ოთხი მხოლოდ დამხმარეა, უზრუნველყოფს რა ფერმის პროდუქტებითა და სხვა საჭიროებებით მომარაგებას.

რამდენადაც „დანაყოფი 2“-დან არავის სჭირდება ავტომობილით გადაადგილება, საწვავზეც არავინ ზრუნავს. საბოლოოდ, ერთ-ერთმა მათგანმა გამოხატა სურვილი იმ სადამოს გასულიყო და მეზობელი ფერმის სატვირთოდან მალულად ცოტა ბენზინი გადმოესხა. ამ დროს, ელექტროენერგია ხელახლა გაწყდა, შესაბამისად სარჩილავი ვერ გამოვიყენე. დღიური მუშაობა დავასრულე.

მთელი მეორე დღე დამჭირდა, რომ გადამცემი ისე ამემუშავებინა, როგორც საჭირო იყო. გამომდინარე პატარა დეტალებისა, რომელიც ვერ გავითვალისწინე. როდესაც მუშაობა საბოლოოდ დავასრულე, დაახლოებით შუალამეს, მათ შევთავაზე, რომ გადამცემი უკეთეს ადგილას მოეთავსებინათ, მაგალითად სხვენზე, ან შენობის მეორე სართულზე მაინც.

შესაფერისი ადგილი ვიპოვეთ და ყველაფერი ზედა სართულზე ავზიდეთ. მუშაობისას, აკუმულატორი მარცხენა ფეხზე დამეცა. თავიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ფეხი მოვიტეხე, ვერ ვეყრდნობოდი.

შედეგად, ღამის გატარება ფერმაში მომიწია. მიუხედავად მათი შეცდომებისა, დანაყოფის თითოეული წევრი ჩემს მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი ჩანდა. ყველა მადლიერი იყო იმ ძალისხმევითვის, რომელიც მათთვის გავწიე.

როგორც დაპირებული იყო, მოპარული ბენზინი უკან დასაბრუნებლად გამოვიყენე. ამას გარდა, მათ დაიჟინეს, რომ ჩემი მანქანა დიდი რაოდენობის დაკონსერვებული საკვებით დაეტვირთათ, როგორც ჩანდა, მომარაგება მათთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. როცა ვკითხე, თუ საიდან შოულობდნენ კონსერვებს, მათ მხოლოდ გამიღიმეს და დამარწმუნეს, რომ იმდენის შოვნა შეეძლოთ, რამდენიც საჭირო იქნებოდა. ალბათ, იმაზე მეტი რესურსი აქვთ, ვიდრე თავიდან ვფიქრობდი.

დილის 10 საათი იყო, როცა სახლში დავბრუნდი. ჯორჯი და ჰენრი, ორივე გასულები იყვნენ, მაგრამ ქეთრინი მომესალმა და ავტოფარეხის კარი გამიღო, რომ მანქანა დამეპარკინებინა. მკითხა, უკვე ვისაუზმე თუ არა.

ვუთხარი, რომ „დანაყოფ 2“-თან ერთად ვისაუზმე და მშიერი არ ვიყავი, მაგრამ ჩემი ფეხის მდგომარეობა ნამდვილად მალეღვებდა. ფეხი მტკივნეულად მიკანკალებდა და ნორმალურ ზომაზე ორჯერ მეტად გამისივდა. ის დამეხმარა, რომ საძინებელ ოთახში ავბარბაცებელიყავი და ფეხის ჩასადგმელად ცივი წყლით სავსე სათლი მომიტანა.

ცივმა წყალმა მალევე ჩააცხრო ანთება და მადლიერი გადავწყექი ბალიშებზე, რომელიც ქეთრინმა საზურგედ ამომიღო. ავუხსენი როგორ ვიტკინე ფეხი და ჩვენ ბოლო ორი დღის ახალი ამბები გავცვალეთ.

სამმა მათგანმა მთელი დღე თაროების დამაგრებაში, წვრილ რემონტში, შეღებვასა და დასუფთავებაში გაატარა, რომელმაც ბოლო კვირა სრულად წაგვართვა. ბინაში მეორადი ავეჯი მოვათავსეთ და ნელნელა საცხოვრებლად შესაფერისი გავხადეთ. შიშველი, ცივი და ჭუჭყიანი ყოფილი ავტომალაზია ნამდვილად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც გადმოვედით.

გუშინ საღამოს, ქეთრინმა შემატყობინა, რომ ჯორჯი ხელახალ კრებაზე გამოიძახეს ვაშინგტონის საველე დანაყოფში. ამ დილით კი, ჰენრი და ის ერთად გავიდნენ, მას კი მხოლოდ ის უთხრეს, რომ დღის ბოლოს დაბრუნდებოდნენ.

რამდენიმე წუთით ჩამთვლიმა და როდესაც გავიღვიძე, ოთახში მარტო ვიყავი. სხვათაშორის, თავს ბევრად უკეთ ვგრძნობდი და შეშუპებაც შესამჩნევად ჩამიცხრა. გადავწყვიტე, შხაპი მიმეღო.

სააბაზანო დროებითია, მხოლოდ ცივი წყლით. იგი მე და ჰენრიმ უზარმაზარი კარადისგან ავაწყვეთ. ჩვენ წყალგაყვანილობა და პატარა ნათურა დავუმონტაჟეთ, ქეთრინმა კი კედლები და იატაკი წებოვანი ვინილით დაფარა, რომ წყალგაუმტარი ყოფილიყო. კარადა დგას ოთახში, სადაც მე, ჯორჯს და ჰენრის გვიძინავს. სხვა ორი ოთახიდან, ერთს ქეთრინი იყენებს, როგორც საძინებელს, ერთი კი გაერთიანებული საერთო და სამზარეულო ოთახია.

გავშიშვლდი, პირსახოცი ავიღე და სააბაზანოს კარი გავადე. იქ ქეთრინი იდგა, გალუმპული, შიშველი და მიმზიდველი, მკრთალად მანათობელი ნათურის ქვეშ და სხეულს იშრობდა. მან გაკვირვების გარეშე შემომხედა და არაფერი უთქვამს.

ერთი წუთით უმოძრაოდ ვიდექი და შემდეგ, იმის მაგივრად რომ ბოდში მომეხადა და კარი გამეხურა, იმპულსურად ხელი გავუწოდე. გაუბედავად, მან ჩემსკენ გადმოდგა ნაბიჯი.

ბუნებამ თავისი ქნა.

შემდეგ, საწოლში ვიწექით და ვლაპარაკობდით. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ქეთრინს მარტო ველაპარაკე. ის, გარდა პროფესიონალი გრიმიორისა, რომლითაც ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევს, ძალიან ალერსიანი, მგრძობიარე და ქალურია.

ოთხი წლის წინ, შეიარაღებულ რეიდებამდე, ის კონგრესმენის მდივანი იყო. იგი ვაშინგტონის ერთ-ერთ ბინაში ცხოვრობდა სხვა გოგონასთან ერთად, რომელიც ასევე კაპიტოლიუმში მუშაობდა. ერთ საღამოს, როდესაც ქეთრინი სამსახურიდან სახლში დაბრუნდა, ბინაში სისხლის გუბეში მწოლიარე მეგობრის გვამი იპოვა. ის ზანგმა თავდამსხმელმა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა.

სწორედ ამიტომ, ქეთრინმა შეიძინა პისტოლეტი და კოჭენის აქტის მიერ იარაღის ფლობის არალეგალურად გამოცხადების შემდეგაც კი ინახავდა. მოგვიანებით, როგორც სხვა თითქმის მილიონი ადამიანი, ისიც დააკავეს შეიარაღებული რეიდების დროს 1989 წელს. იმის მიუხედავად, რომ მას ორგანიზაციასთან ადრინდელი კონტაქტი არ ჰქონდა, ის ჯორჯს საპატიმროში შეხვდა, სადაც დაკავების შემდეგ მოათავსეს.

ქეთრინი აპოლიტიკური იყო. იმ დროს, როცა მთავრობაში მუშაობდა ან უფრო ადრე, როცა კოლეჯში სწავლობდა, ვინმეს მისთვის რომ ეკითხა, ის უპასუხებდა რომ „ლიბერალი“ იყო. მაგრამ ის ლიბერალი იყო ისევე გაუაზრებელი, უნებლიე გზით, როგორც ზოგადად ლიბერალების უმრავლესობა. დაუფიქრებლად და გაუანალიზებლად, მან ზედაპირულად მიიღო ეს არაბუნებრივი იდეოლოგია, მხარდაჭერილი მასმედიისა და მთავრობის მიერ. ის არც ფანატიკოსი იყო, არც დამნაშავე და არც უღირსი, ყველაფერი, რაც თავდადებულ, სრული განაკვეთით ლიბერალს ქმნის.

მას შემდეგ, რაც პოლიციამ ისინი გაანთავისუფლა, ჯორჯმა მას რამდენიმე წიგნი გადასცა რასებსა და მათ ისტორიაზე, ასევე ორგანიზაციის რამდენიმე პუბლიკაცია, რომ წაეკითხა. პირველად მის ცხოვრებაში, მან სერიოზულად დაიწყო ფიქრი მნიშვნელოვან რასობრივ და პოლიტიკურ სპექტრზე, როგორც ფესვებზე, სხვა ნებისმიერი პრობლემისა დღესდღეობით.

მან გააანალიზა სისტემის „თანასწორობის“ აბსურდულობა, გათვითცნობიერდა ებრაელების გადამწყვეტი როლის შესახებ რასებისა და ცივილიზაციების გახრწნაში. და ყველაზე მნიშვნელოვანი, მან იგრძნო საკუთარი რასობრივი იდენტობა, დაძლია მიზანმიმართული და

დამამდაბლებელი ტვინის გამორეცხვის მცდელობები, რომ მისგან შეექმნათ იზოლირებული ადამიანური ატომი კოსმოპოლიტურ ქაოსში.

დაკავების შედეგად ქეთრინმა დაკარგა სამსახური კონგრესში და დაახლოებით ორი თვის წინ მან ორგანიზაციის პუბლიკაციების განყოფილებაში მბეჭდავად მუშაობა დაიწყო. ქეთრინი გონიერი და შრომისმოყვარეა, ამიტომ მალევე დააწინაურეს კორექტორად, შემდეგ კი რედაქტორის პოციზიაზე დაიკავა ადგილი. მან რამდენიმე სტატია დაწერა ორგანიზაციის პუბლიკაციებისთვის, უმეტესად ქალთა როლზე მოძრაობაში და უფრო დიდ საზოგადოებაშიც, სულ რაღაც გასულ თვეს ყოველთვიური ჟურნალის რედაქტორად დაინიშნა, რომელიც ძირითადად ქალებზე იყო გათვლილი.

მისი კარიერა ახლა რა თქმა უნდა, თაროზეა შემოდებული, შესაძლებელია დროებით, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი შემოაქვს ორგანიზაციაში, გრიძირებისა და შენიღბვის პროფესიონალური უნარებით, რომელიც სტუდენტობის პერიოდში მოყვარულთა თეატრში შეითვისა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი კონტაქტი ჯორჯთან დაამყარა, ქეთრინი არასდროს იყო ემოციურად ან რომანტიკულად მოხიბლული მისით. როდესაც ისინი პირველად შეხვდნენ, ჯორჯს ჯერ კიდევ ცოლი ჰყავდა. მოგვიანებით, ჯორჯი ცოლმა დატოვა, რადგან ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდა ჯორჯის ორგანიზაციაში მუშაობას. ქეთრინი ორგანიზაციას შემოუერთდა, თუმცა ორივე საკმაოდ დაკავებულები იყვნენ იმისთვის, რომ კონტაქტისთვის დრო ჰქონოდათ. ჯორჯი, სპონსორისა და მუდმივად მოძრაობაში მყოფი ორგანიზატორის ამპლუიდან გამომდინარე, ხშირად არ იმყოფებოდა ვაშინგტონში.

მხოლოდ დამთხვევაა, რომ ჯორჯი და ქეთრინი ერთ დანაყოფში მოხვდნენ, მაგრამ ჯორჯი ნამდვილად გრძნობდა გარკვეულ ინტერესს ქეთრინის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ქეთრინს არაფერი გაუკეთებია ან უთქვამს ისეთი, რომ ჩემი ვარაუდი განემტკიცებინა, ამ დილაამდე, მე ჩვეულებრივ მიმაჩნდა, რომ ჯორჯს სავარაუდო ურთიერთობა ჰქონდა ქეთრინთან.

იქიდან გამომდინარე, რომ არსებითად ჯორჯი ჩვენი დანაყოფის ლიდერია, აქამდე მიწევდა ჩემი ბუნებრივი სიმპათიები ქეთრინის მიმართ კონტროლქვეშ ამეყვანა. ახლა კი ვშიშობ, სიტუაცია უხერხული გახდა. თუ ჯორჯი ამას ცივილურად არ შეეგუება, ყველაფერი დაიძაბება და პრობლემის გადაჭრა მხოლოდ დანაყოფებს შორის წევრების გადაცვლით იქნება შესაძლებელი.

ამ დროისთვის, ბევრად დიდი პრობლემები გვაქვს! ჯორჯი და ჰენრი, როგორც იქნა დაბრუნდნენ. გაირკვა, რას აკეთებდნენ მთელი დღე: ისინი ჩაუსაფრდნენ ფედერალური ბიუროს ეროვნულ შტაბ-ბინას ქალაქის ცენტრში. ჩვენმა დანაყოფმა მისი აფეთქების ბრძანება მიიღო!

პირველი ბრძანება რევოლუციური დანაყოფიდან მოვიდა. აღმოსავლეთის საველე დანაყოფიდან კაცი ვაშინგტონის საველე დანაყოფში გაგზავნეს, რომ ბრიფინგს დასწრებოდა, გადაეხედა დანაყოფების ლიდერებისთვის და აერჩია საუკეთესო ზემოთ ხსენებული დავალების შესასრულებლად.

როგორც ჩანს, რევოლუციურმა დანაყოფმა გადაწყვიტა, რომ პოლიტპოლიციის წინააღმდეგ იერიშზე გადავიდეს, სანამ უფრო მეტ „ლეგალურ“ წევრს დააკავებენ და სანამ კომპიუტერიზებულ საპასპორტო სისტემაზე მუშაობას დაასრულებენ.

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ, ვაშინგტონის საველე დანაყოფმა დავალება ჯორჯს გადასცა.

„დანაყოფი 8“-დანაც იყო ერთი კაცი და გადაწყდა, რომ ისინი დახმარებას გაგვიწვევენ.

უხეზად რომ ვთქვათ, გეგმა შემდეგი იყო: „დანაყოფი 8“-ს უნდა დაეცვა ასაფეთქებლების უზარმაზარი რაოდენობა, საშუალოდ 5-დან 8 ტონამდე. ჩვენი დანაყოფი გაიტაცებდა სატვირთოს, რომელიც კანონიერ მიწოდებებს ასრულებს ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინაში. უნდა შევხვედროდით „დანაყოფ 8“-ს იმ ლოკაციაზე, სადაც ისინი ასაფეთქებლებით დაგველოდებოდნენ და გავცვლიდით ტვირთს. შემდეგ, შევიდოდით ფედერალური ბიუროს ტვირთის მისაღებ ზონაში და იქ ასაფეთქებელ პატრულებს განვათავსებდით.

სანამ „დანაყოფი 8“ ასაფეთქებლების პრობლემას აგვარებდა, ჩვენ დავალების თითოეულ დეტალზე უნდა გვემუშავა, ეს კი ფედერალური ბიუროს ტვირთის მიწოდების განრიგისა და პროცედურების განსაზღვრას გულისხმობდა. დავალების შესასრულებლად ათი დღე მოგვცეს.

ჩემი ვალდებულება უშუალოდ ბომბის მექანიზმის დიზაინისა და კონსტრუქციის შექმნაა.

3 ოქტომბერი, 1991 წელი. ფედერალური ბიუროს პროექტზე მუშაობა დროებით შეწყვიტე, რომ ჩვენი შენობის შემოგარენში რამდენიმე შიდასაოჯახო საქმით დაგკავდე. გუშინ, პერიმეტრის განგაშის სისტემაზე დავასრულე მუშაობა და დღეს, რამდენიმე შავი სამუშაო შევასრულე გვირაბში, საიდანაც გადაუდებელ სიტუაციაში თავი უნდა დავაღწიოთ.

შენობის ორივე გვერდსა და უკანა მხარეს, მოძრაობის დეტექტორები დავმარხე, რომელიც შიდა მხარეს ციმციმასა და განგაშის სიგნალს უკავშირდება, დაახლოებით იგივე სახის, როგორსაც მაღაზიების შესასვლელებში ათავსებენ, რომ მომხმარებლის ვიზიტი დააფიქსირონ. ისინი შედგება ორი ფუტის სიგრძის მეტალის ნაჭრებისგან დრეკად პლასტმასის საფარებში და წყალგაუმტარია. დაფარულია რა ერთი ინჩი მიწით, საკმაოდ შეუმჩნეველია, მაგრამ სიგნალს გამოგვიგზავნის, თუ ვინმე ფეხს დააბიჯებს.

ამ მეთოდის გამოყენება შენობის წინ შეუძლებელია, რადგან თითქმის მთელი ნიადაგი ბეტონსა და ავტომანქანების სადგომს უკავია. ეს გავანალიზე და უარი ვთქვი ულტრაბგერითი დეტექტორის გამოყენებაზე, ამგვარად არჩევანი ღობის ორი ფოლადის ბოძის ორივე მხარეს ფოტოელექტრული სხივის მონტაჟზე შევაჩერე. იმისთვის, რომ სინათლის წყარო და ფოტოელემენტი დამემალა, ბოძის შიდა მხარეს ძალიან პატარა და შეუმჩნეველი ამრეკლავის დამონტაჟება დამჭირდა. რამდენიმე ხვრელის გაბურღვა, დარჩილვა და ყველაფერი ისე იმუშავებს, როგორც საჭიროა.

ქეთრინი ძალიან დამეხმარა, ფრთხილად მიუსადაგა რა ამრეკლავები, სანამ მე ნათურასა და ფოტოელემენტს ვამწკრივებდი. სწორედ მან შემომთავაზა, რომ შენობაში განგაშის სისტემა შემეცვალა, ამგვარად ის არა მხოლოდ მყისიერად გაგვაფრთხილებს მოძრაობის დეტექტორებზე მოულოდნელი ნაბიჯების დაფიქსირების შესახებ ან შეწყვეტს ციმციმს, არამედ ელექტრულ საათსაც აამუშავებს ავტოფარეხში. ამ გზით, ჩვენ გავიგებთ ვინმე იმყოფებოდა თუ არა შემოგარენში, სანამ შენობიდან გასული ვიყავით და თუ იყო, როდის.

მანქანების ბოქსიდან ბინძური, ცარიელი ნავთის ქილების, გაპოხილი ჩვრებისა და სხვა მრავალგვარი ნაგვის წმენდისას, რომელიც ზეთის გამოსაცვლელად და მანქანასთან მუშაობაში გამოიყენებოდა, აღმოვაჩინეთ, რომ ეს ბოქსი წყალსაწრეტიდან პირდაპირ უკავშირდებოდა საკანალიზაციო სისტემას.

გავხსენი რა წყალსაწრეტი, აღმოვაჩინე რომ შესაძლებელია ოთხი ფუტის დიამეტრის ჩაბეტონებული მილით კანალიზაციის სისტემამდე ცოცვით მისვლა. 400 იარდში, მილი სადრენაჟე არხს უკავშირდება.

გზად ათეულობით უფრო პატარა მილია, რომელიც მთავარ კანალიზაციაში ცარიელდება. კანალიზაციის ბეტონიანი ნაწილის ღია ბოლო დაცულია ნახევარი ინჩის ზომის გისოსებით.

დღეს, ხერხი მოვიმარჯვე, კანალიზაციის ბოლოში ჩავძვერი და ყველა ვერა, თუმცა ორი გისოსი გავხერხე. წყალსაწრეტი კვლავ მტკიცედ დარჩა, მაგრამ შესაძლებელი იყო, დიდი ძალისხმევით, საკმარისად გამეღუნა და ჩავმძვრალიყავი. ასეც მოვიქეცი და სწრაფად მიმოვიხედე ირგვლივ. თხრილი საკმაოდ მოზრდილია, უზრუნველყოფს მის

შეუმჩნევლობას უახლოესი ქუჩებიდან. გზატკეცილიდან, ირიბი სტრუქტურის გამო, შეუძლებელია ჩვენი შენობის რომელიმე ნაწილის ან რომელიმე მოპირდაპირე ქუჩის დანახვა. როცა ხელახლა დავბრუნდი საკანალიზაციო სისტემაში, ბუზღუნითა და დამაბულობით გავღუნე გისოსები, რომ უკან გამოვბრუნებულიყავი.

საუბედუროდ, ავტოფარებისა და ავტომალაჩის ყოფილი მფლობელები, როგორც ჩანს, ნარჩენ ზეთს წლების განმავლობაში საკანალიზაციო მილში ასხამდნენ, რადგან მილების ფსკერზე, დაახლოებით ოთხი ინჩის სისქის შავი ტალახია დაგროვილი. როდესაც კვლავ ავტოფარებში ამოვცოცდი, თავიდან ბოლომდე ტალახში ვიყავი გასვრილი.

ჰენრი და ჯორჯი, ორივე გასულები იყვნენ, ქეთრინმა გამაშიშვლა და შლანგის გამოყენებით ჩამომრეცხა ტალახი, სანამ შხაპის მისაღებად ზედა სართულზე ასვლის ნებას დამრთავდა.

განმიცხადა, რომ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელსაც ვატარებდი სრულიად გამოუსადეგარი იყო და გადააგდო.

ყოველ ჯერზე, როდესაც ყინულივით ცივ შხაპს ვიღებ, მწარედ ვნანობ, რომ მე და ჰენრიმ ჩვენს კუსტარულ სააბაზანოში ცხელი წყლის გაყვანას დრო ვერ დავუთმეთ.

6 ოქტომბერი. დღეს ბომბის ფეთქებად მექანიზმზე დავასრულე მუშაობა, ბომბის, რომელიც ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ. უშუალოდ გამაქტიურებელი საკმაოდ მარტივი მექანიზმია, მაგრამ გამაძლიერებლებს გუშინდელ დღემდე ველოდებოდი, რადგან ზუსტად არ ვიცოდი, რა სახის ასაფეთქებელს გამოვიყენებდით.

„დანაყოფი 8“-ში საწყობის გაძარცვა დაგეგმეს იქ, სადაც ვაშინგტონის მეტროს სისტემა ოდნავ ფართოვდება, მხოლოდ გუშინ საღამოს გაუმართლათ - თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მათ სულ რაღაც ორი ყუთი ფეთქებადი ჟელატინის მოპარვა მოახერხეს, რომელთაგან ერთი სავსეც კი არ იყო. ჯამში, 45 კილოზე ნაკლები.

მაგრამ, ამან ჩემი პრობლემა ნაწილობრივ მაინც გადაჭრა. ფეთქებადი ჟელატინი საკმაოდ მგრძობიარეა, რომ ჩემ მიერ კუსტარულად დამზადებულ ტყვიის აზიდის დეტონატორებთან შევიდეს კონტაქტში, 45 კილოგრამი კი საკმარისზე მეტია მთავარი ნაწილის ასაფეთქებლად, იმ შემთხვევაში თუ „დანაყოფი 8“ იპოვის უფრო დიდი რაოდენობის ასაფეთქებელს, არ აქვს მნიშვნელობა რა სახის იქნება იგი. დაახლოებით 2 კილოგრამი ფეთქებადი ჟელატინი ცარიელ ქილებში მოვათავსე, ბატარიისა და დროის მექანიზმი ქილის თავზე დავამაგრე და პატარა გადამრთველს 20 ფუტის სიგრძის კაბელის ბოლოში გადავაბი. როდესაც სატვირთოს ასაფეთქებლებით დავტვირთავთ, კონსერვი ფეთქებადი ჟელატინის ორი ყუთის უკან მოთავსდება. სატვირთოს მისაბმელსა და კაბინაში ხვრელების გაკეთება მოგვიწევს, რომ კაბელი და გადამრთველი კაბინიდან ვმართოთ.

ან ჯორჯი, ან ჰენრი - ალბათ უფრო ჰენრი - შეიყვანს მანქანას ფედერალური ბიუროს შენობის ტვირთის მისაღებ ტერიტორიაზე. როდესაც კაბინიდან გამოვა, ჩამრთველს აამუშავებს და დროის ათვლაც დაიწყება. ათი წუთის შემდეგ, ასაფეთქებლები მოქმედებას

დაიწყებენ. თუ გაგვიმართლებს, ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინასა და მთავრობის 3 მილიარდიან შიდა საპასპორტო სისტემას ბოლოს მოვუღებთ.

ექვსი თუ შვიდი წლის წინ, როცა სისტემიდან „საცდელი ბუშტების“ გაშვება დაიწყო, რომ ენახათ საზოგადოების რეაქცია ახალი საპასპორტო სისტემის შესახებ, თქვეს, რომ მთავარი მიზანი არალეგალების აღმოჩენა და მათი დეპორტირება იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მოქალაქე დროულად და სამართლიანად დაექვდა მთლიან სქემაზე, უმეტესობამ გადაყლაპა მთავრობის ახსნა-განმარტება საპასპორტი სისტემის საჭიროების შესახებ. ამგვარად, პროფკავშირის წევრებმა, რომელთაც არალეგალები დაინახეს როგორც მუქარა, მაღალი უმუშევრობის პერიოდში, ჩათვალეს, რომ მშვენიერი იდეა იყო. ლიბერალები კი კონტრასტულად ეწინააღმდეგებოდნენ ამ „რასისტულ“ დამოკიდებულებას, რადგან არალეგალების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არ იყო თეთრკანიანი.

მოგვიანებით, როცა მთავრობამ ავტომატური მოქალაქეობა მიანიჭა ყველას, ვინც შეძლო მექსიკის კედლიდან გადმოპარვა და ორი წლით ქვეყანაში დარჩენა, ლიბერალური ოპოზიციაც აორთქლდა, გარდა თავგამოდებული ლიბერტარიანელებისა, რომლებიც მოვლენებს ჯერ კიდევ ეჭვის თვალთ უყურებდნენ.

საერთო ჯამში, მთავრობისთვის სასაცილოდ მარტივი გახდა ამერიკელი ხალხის მოტყუება და მისით მანიპულირება, გულუბრყვილო კონსერვატორებისა და დამპალი, ფსევდოგანვითარებული ლიბერალების ჩათვლით. ლიბერტარიანელებიც კი, რომელთაც არსებითად მტრული დამოკიდებულება გააჩნდათ სისტემისადმი, დაშინდებიან, როცა დიდი ძმა გამოაცხადებს, რომ ახალი საპასპორტო სისტემა საჭიროა „რასისტების“- კერძოდ კი, ჩვენ მოსაგნებად და აღმოსაფხვრელად. სასწორზე რომ მხოლოდ ამერიკელების თავისუფლება იდოს, ორგანიზაციის არსებობა ძლივს იქნებოდა გამართლებული. ამერიკელებმა დაკარგეს თავისუფლების შეგრძნება. მონობა ერთადერთი მართებული მდგომარეობაა ხალხისთვის, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც უძლური, ეგოისტი, დაუდევარი, გულუბრყვილო და ცხვირჩამოშვებული ბრბო. სინამდვილეში, მონები ვართ.

ჩვენ ნება მივეცით ბოროტებას, უცხოტომელ უმცირესობას ჩვენი გონებისა და სულისთვის ბორკილები დაედო. ეს სულიერი ბორკილები მეტად რეალური მონობის ნიშანია, ვიდრე რკინის ჯაჭვები, რომელიც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს.

რატომ არ ავჯანყდით 35 წლის წინ, როდესაც ჩვენი სკოლები წაგვართვეს და მათი რასობრივად შერეულ ჯუნგლებად გადაქცევა დაიწყო? რატომ არ მოვისროლეთ თითოეული მათგანი ქვეყნიდან 50 წლის წინ, იმის მაგივრად, რომ მიგვეცა მათთვის ნება, გამოვეყენებინეთ როგორც ზარბაზნები ევროპის დასაპყრობად ბრძოლაში?

უფრო მეტიც, რატომ არ აღვსდექით 3 წლის წინ, როდესაც მათ ჩვენი იარაღების კონფისკაცია მოახდინეს? რატომ არ გავცეცხლდით სამართლიანად, დავიჭირეთ ეს თავხედი უცხოტომელები ქუჩებში და რატომ არ გამოვჭერით სათითაოდ კისერი? რატომ არ შევწვით ისინი კოცონზე ამერიკის ყოველი ქუჩის კუთხეში? რატომ არ მოვუღეთ ბოლო ამ საზიზღარ, უსასრულოდ აუტანელ კლანს, აღმოსავლეთის კანალიზაციებიდან მოსულ ჭირს, იმის მაგივრად რომ მორჩილად მიგვეცა ჩვენი განიარაღების ნება?

პასუხი მარტივია. ჩვენ ავჯანყდებოდით, რომ ყველაფერი, რაც ბოლო 50 წლის მანძილზე გვტანჯავდა, ერთდროულად დამტყდარიყო ჩვენს თავს. მაგრამ ამ დამაბრმავებელ ბორკილებს, რომელსაც თანდათან, შეუმჩნევლად, ნაბიჯ-ნაბიჯ გვადებენ, გაუაზრებლად დავემორჩილეთ. ახალი ჯაჭვის სათითაოდ, აუჩქარებლად დადება ჩვენთვის არასოდეს იყო საკმარისი, რომ აურზაური აგვეტეხა. მოთმენა და ცხოვრების გაგრძელება უფრო მარტივი და უსაფრთხო გვეჩვენებოდა. და რაც უფრო შორს შევტოპავდით, მით უფრო გვიადვილდებოდა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა.

ერთი რამ, რისი გადაწყვეტაც ისტორიკოსს მოუწევს- თუ რა თქმა უნდა, ვინმე გადარჩება ჩვენი რასიდან, რომ ჩვენი ეპოქის ისტორია დაწეროს - ეს არის მნიშვნელობა იმ მიზანმიმართულობისა, რომელიც წარმოგვაჩენს თავისუფალი ადამიანების საზოგადოებად ამ პირუტყვთა ჯოგში.

იმისთვის, რაც ჩვენს თავს მიზანმიმართულად ხდება, უნდა დავადანაშაულოთ თუ არა მზაკვრული პროპაგანდა, რომელიც მასმედიის, სკოლების, ეკლესიებისა და მთავრობის მხრიდან ხირციელდება? ან იქნებ ბრალი უნდა დავდოთ იმ გარდაუვალ დაცემას, რომელიც დასავლურმა საზოგადოებამ გამხრწნელი ცხოვრების წესის გამო განიცადა?

როგორც ჩანს, ეს ორი რამ ერთმანეთში გადახლართულია და რთული იქნება კონკრეტულად რომელიმე ერთს დავადოთ ხელი. მასიურმა იდეოლოგიურმა დამუშავებამ კიდევ უფრო მისაღები გახადა ჩვენი დაკნინება, ამ უკანასკნელმა კი წაგვართვა ძალა, რომ მიმდინარე პროცესებისთვის მტკიცე წინააღმდეგობა გაგვეწია.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ მეტისმეტად ახლოს ვიდექით ხეებთან, რომ ტყე დაგვენახა.

მაგრამ ერთი რამ, რაც ნათელია არის ის, რომ ჩვენი თავისუფლების გარდა, კიდევ ბევრი რამ დევს სასწორზე. თუ ორგანიზაცია ამ დავალებას ჩააფლავებს, ყველაფერი დაიკარგება - ჩვენი ისტორია, ჩვენი მემკვიდრეობა, ყოველი წვეთი სისხლი და თავგანწირვა, რომლისკენაც ათასობით წლის განმავლობაში ვისწრაფვოდით. მტერი, რომელსაც ვებრძვით მიზნად ისახავს ჩვენი არსებობის რასობრივი ბაზისის განადგურებას.

არანაირ შენდობას ჩვენი მარცხისა არ ექნება მნიშვნელობა, რადგან არავინ მოისმენს მას, ნაყარი მულატი ზომბების გულგრილი ხროვის გარდა. არ დარჩება თეთრი ადამიანი, რომ დაგვიმახსოვროს, ან დაგვადანაშაულოს ჩვენი სისუსტისთვის, ან კიდევ მოგვიტევოს უგუნურება.

თუ დავმარცხდებით, ღმერთის დიად ექსპერიმენტს ბოლო მოელება, პლანეტაზე მზე კვლავ ჩაესვენება და ისეთივე უკაცრიელი გახდება, როგორც მილიონობით წლის წინ იყო.

11 ოქტომბერი. დღეს ის დღეა! მიუხედავად „დანაყოფი 8“-ის მარცხისა ეპოვათ საკმარისი რაოდენობის ასაფეთქებელი, ჩვენ მაინც ვაგრძელებთ ოპერაციას. საბოლოო გადაწყვეტილება „დანაყოფი 8“-ის შტაბ-ბინაში, შუადღის შეკრებაზე მივიღეთ. ჰენრი და მე იქ ვიყავით, ისევე როგორც რევოლუციური დანაყოფის შტაბის ოფიცერი, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში და ვისი დახმარებითაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიმდინარე ოპერაციას აკვირდებოდა.

როგორც წესი, რევოლუციური დანაყოფის კადრები არ ერევიან სხვა დანაყოფების მოქმედებებში ოპერაციულ დონეზე. ჩვენ მხოლოდ ვიღებთ ბრძანებებს ოპერაციების შესახებ, ვატყობინებთ ვაშინგტონის საველე დანაყოფს აღმოსავლეთის დანაყოფის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც ძირითადად ისეთ კონფერენციებში იღებენ მონაწილეობას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები უნდა გადაწყდეს.

აქამდე, მხოლოდ ორჯერ დავესწარი შეხვედრას რევოლუციური დანაყოფის წარმომადგენლებთან ერთად და ორივე შემთხვევაში ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებზე ვმუშაობდით, რომელიც ორგანიზაციის საკომუნიკაციო სისტემას ეხებოდა და რომელზე ზრუნვაც ჩემი მოვალეობა იყო. ეს რა თქმა უნდა, იქამდე იყო, სანამ „იატაკვემა“ ფორმატზე გადავიდოდით.

მაიორ უილიამსის (ვფიქრობ, ფსევდონიმია) დასწრებამ ჩვენს შუადღის კრებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თითოეულ ჩვენგანზე. მე დასწრება იმიტომ მთხოვეს, რომ ბომბის სწორ მუშაობაზე ვარ პასუხისმგებელი. ჰენრი იქ იყო, რადგან მას ბომბის დანიშნულების ადგილზე მიტანა ევალებოდა. შეკრების მიზეზი იყო „დანაყოფი 8“-ის წარუმატებლობა, მოეპოვებინა მინიმალური რაოდენობა ასაფეთქებლებისა, რომელიც მე და ედ სანდერსმა ვიანგარიშეთ და რომელიც სამუშაოს სრულყოფილად შესასრულებლად გვჭირდებოდა.

ედი „დანაყოფი 8“-ის არტილერიის ექსპერტი და ასევე საინტერესოა, რომ ფედერალური ბიუროს ყოფილი სპეციალური აგენტი, ვისთვისაც კარგად ნაცნობია შტაბ-ბინის სტრუქტურა და განლაგება. ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით ვიანგარიშეთ, რომ მინიმუმ 5 ტონა ფეთქებადი ტროტილი ან მისი ექვივალენტი ასაფეთქებელი გვჭირდებოდა, რათა შენობის ფუნდამენტური ნაწილი და სარდაფში არსებული ახალი კომპიუტერული ცენტრი გაგვენადგურებინა. დაზღვეულები რომ ვყოფილიყავით, 9 ტონა მოვითხოვეთ. ამის ნაცვლად, ახლა 5 ტონაზე ნაკლები გვაქვს, უმეტესობა ამონიუმის ნიტრატის სასუქია, რომელიც, ჩვენს შემთხვევაში, ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ფეთქებადი ტროტილი.

ორი ყუთი ფეთქებადი ქელატინის გარდა, „დანაყოფი 8“ პასუხისმგებელი იყო მეტროს სხვა სამშენებლო ფარდულიდან კიდევ 180 კილოგრამი დინამიტი მოეპარა. ჩვენ იმედი დავკარგეთ, რომ საჭირო რაოდენობის ასაფეთქებლების თავმოყრას შევძლებდით.

მიუხედავად იმისა, რომ მეტროში ყოველდღიურად დიდი რაოდენობის ასაფეთქებლებს იყენებენ, ისინი პატარა შეკვრებად არის გადანაწილებული და მასზე წვდომა საკმაოდ რთულია. „დანაყოფი 8“-ის ორი წევრი შემთხვევით გადაურჩა დაზიანებას, როდესაც დინამიტი მოიპარეს.

გასულ ხუთშაბათს, ღამით, როდესაც დავალების დედლაინი ახლოვდებოდა, „დანაყოფი 8“-დან სამი კაცი თავს დაესხა ფერმის საწყობს, ფრედერიკსბურგთან ახლოს, ჩვენგან 50 მილით სამხრეთით. მათ ვერ იპოვეს მსგავსი ასაფეთქებლები, მაგრამ აღმოაჩინეს გარკვეული რაოდენობის ამონიუმის ნიტრატი, 44-45 კილოგრამიანი გალონი.

იგი ზეთთან შერეული და მტკიცედ შეკრული, ეფექტური ფეთქებადი საშუალებაა, რომელიც მარტივად აყენებს ქვისა და ტალახის კორიანტელს. მაგრამ ჩვენი საწყისი გეგმა არსებითად დამოკიდებული იყო ბომბის შეუზღუდავ შესაძლებლობებზე და მას უნდა შესძლებოდა

ბეტონის მტკიცე შენობის ორი სართულის ჩამონგრევა, წარმოქმნიდა რა უზარმაზარ აფეთქების ტალღას და მიწასთან გაასწორებდა მტკიცედ კონსტრუქტირებულ ფასადს.

საბოლოოდ, ორი დღის წინ, „დანაყოფი 8“-მ შეძლო იმის გაკეთება, რაც თავიდანვე უნდა გაეკეთებინა. დანაყოფის იგივე სამი წევრი, რომელთაც ამონიუმის ნიტრატი მოიპარეს, სატვირთო მანქანით თავს დაესხა მერილენდის სამხედრო არსენალს.

ვენდობი ედ სანდერსის სიტყვებს, რომ შიგნით „ლეგალური“ წევრი გვყავს, რომელიც დაგვეხმარება.

მაგრამ, ისევე როგორც დღევანდელ შუადღეს, მათი მხრიდან სიტყვა არ დამრულა და რევოლუციურ დანაყოფსაც აღარ სურს მეტის ლოდინი. რეალური სურათის დადებითი და უარყოფითი მხარეები ამ მომენტისთვის ასეთია:

სისტემა დიდ ზიანს გვაყენებს ჩვენი „ლეგალური“ წევრების დაკავებით, იწყებს რა იმ ნაწილით, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ორგანიზაციის ფინანსებში. თუ „ლეგალები“ ჩვენს დაფინანსებას ვეღარ შეძლებენ, „იატაკქვეშა“ ძალები იძულებულნი იქნებიან სისტემატურ მარცვაზე გადავიდნენ, რომ საკუთარი თავები უზრუნველყონ.

მაშასადამე, რევოლუციური დანაყოფი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად თვლის სისტემაზე გადაუდებელ თავდასხმას, რომელიც არა მხოლოდ ხელს შეუშლის ფედერალური ბიუროს მხრიდან ჩვენი „ლეგალების“ დაკავებას, დროებით მაინც, არამედ გამოაღვიძებს უმაღლეს მორალურ ღირებულებებს მთავრობის შერცხვენიტ და მათ წინააღმდეგ საკუთარი ძალისხმევის დემონსტრირებით. უილიამსის ნათქვამიდან გამომდინარე, ვასკვნი, რომ ეს ორი მიზანი ამ მომენტისთვის უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე კომპიუტერული ბანკის მწყობრიდან გამოყვანის ფუნდამენტური გეგმა.

ამას გარდა, თუ სისტემაზე ისეთ შეტევას მივიტანთ, რომელიც მის პოლიტპოლიციას რეალურ ზიანს არ მიაყენებს, ჩვენ არა მხოლოდ ვერ მივაღწევთ ჩვენს მიზნებს, არამედ მტრებს გავუმხელთ ჩვენი ბრძოლის ტაქტიკასა და დანიშნულებას. ასევე, მეტად გაგვიჭირდება შემდეგ ჯერზე კომპიუტერული სისტემის განადგურება. ეს იყო ჰენრის შეხედულება. მას აქვს შესანიშნავი ნიჭი შეინარჩუნოს სიმშვიდე და კონცენტრირდეს მომავლის მიზნებზე, გაუთვალისწინებელი სირთულეების მიუხედავად. მაგრამ ის ასევე კარგი მეომარია და მზად არის გეგმისამებრ იმოქმედოს, მიუხედავად განცდისა, რომ ჯობს მოვიცადოთ, სანამ დარწმუნებულები არ ვიქნებით, რომ ამის გაკეთებას შევძლებთ.

მჯერა, რომ რევოლუციური დანაყოფის წევრებს ასევე ესმით ნაადრევი მოქმედების საფრთხეები. მაგრამ, ისიც მესმის, რომ მათ უწევთ ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, რომელიც ჩვენ არ შეგვიძლია გავითვალისწინოთ. უილიამსი სავსებით დარწმუნებულია, რომ აუცილებელია ფედერალური ბიუროს კბილანებში ქანჩი მოვათავსოთ, სხვა შემთხვევაში, ისინი გზის სატკეპნივით გაგვაბრტყელებენ! ამგვარად, ჩვენი დისკუსია ძირითადად ერთი შეკითხვის გარშემო კონცენტრირდა - რამდენად მძიმე ზიანის მიყენებას შევძლებთ არსებული ასაფეთქებლების რაოდენობით?

თუ საწყისი გეგმის მიხედვით ვიმსჯელებთ, სატვირთო მანქანით უნდა შევსულიყავით ფედერალური ბიუროს მთავარ სატვირთო შესასვლელში და აფეთქება სისრულეში მოგვეყვანა უზარმაზარ, ცენტრალურ ეზოში, რომელიც ღია ცის ქვეშ, ყველა მხრიდან ქვის კედლებით არის შემოფარგლული. მე და ედი შევთანხმდით, რომ არსებული ასაფეთქებლებით არსებულ პირობებში, ჩვენ ვერ შევძლებდით შენობისთვის სერიოზული სტრუქტურული ზიანის მიყენებას.

ჩვენ შეგვიძლია ეზოს ღია ფანჯრებში ცეცხლი მოვდოთ ოფიცრებს, მაგრამ არ ვართ დარწმუნებულები, რომ შენობის შიდა ფასადისა და სარდაფის განადგურებას შევძლებთ, სადაც კომპიუტერები ინახება. მართალია, ასობით ადამიანი მოკვდება, მაგრამ მანქანა მუშაობას მაინც გააგრძელებს.

სანდერსი თავისი დანაყოფისთვის დამატებით ორ დღეს ითხოვდა, რაც საშუალებას მისცემდა მათ მეტი ასაფეთქებელი მოეპარათ, მაგრამ ეს თხოვნა ეჭვქვეშ დააყენა გასული 12 დღის წარუმატებლობამ. როცა ათასობით „ლეგალურ“ წევრს იჭერენ ყოველდღე, ჩვენ აღარ გვაქვს თუნდაც ორი დამატებითი დღე, ამბობდა უილიამსი, სანამ დაზუსტებით არ გვეცოდინება, რომ ეს ორი დღე იქნება პროდუქტიული და მოგვიტანს იმას, რაც რეალურად გვჭირდება.

საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ ბომბის მოთავსება სარდაფში გვეცადა. ამ უკანასკნელს ასევე ჰქონდა სატვირთო შესასვლელი მეათე ქუჩაზე, ძირითადი შესასვლელის გვერდით. თუ ბომბს ეზოს სიღრმეში, სარდაფში ავაფეთქებთ, შემოსაზღვრული ტერიტორია მას საგრძნობლად ეფექტურს გახდის. იგი სრულად ჩამოშლის სარდაფის კედლებს და ნანგრევებში ჩამარხავს კომპიუტერულ სისტემას. ამას გარდა, ის მთლიანად თუ არა, ძირითადად მაინც განადგურებს საკომუნიკაციო და სამხედრო აღჭურვილობას, რადგანაც ეს უკანასკნელიც სარდაფში ინახება. უცნობია, ბომბი მიაყენებს თუ არა საკმაო დაზიანებას შენობის სტრუქტურას, რომ ის გარკვეული დროით სამუშაოდ უვარგისი გახადოს. შენობის დეტალური ნახაზისა და არქიტექტორების ან ინჟინრების გუნდის გარეშე, ჩვენ უბრალოდ ვერ ვუპასუხებთ ამ შეკითხვას.

არახელსაყრელი მდგომარეობა სარდაფში შესვლის პროცესში იჩენს თავს. სატვირთო მიწოდება იქ იშვიათად ხორციელდება და შესასვლელიც უმეტესწილად დაკეტილია. ჰენრი აპირებს, საჭიროების შემთხვევაში, შესასვლელ კარს გადაუაროს.

დაე, მოსახდენი მოხდეს. ხვალ საღამოს ბევრად მეტი გვეცოდინება, ვიდრე დღეს ვიცით.

13 ოქტომბერი, 1991 წელი. გუშინ, 9:15-ზე ფედერალური ბიუროს შენობაში ჩვენი ბომბი აფეთქდა. ნერვიულობა ბომბის მცირე ზომის გამო, უსაფუძვლო აღმოჩნდა, ზიანი უზარმაზარია. ჩვენ, რასაკვირველია, ნანგრევებად ვაქციეთ ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინის მნიშვნელოვანი ნაწილი, გავხადეთ ის უვარგისი, როგორც მინიმუმ რამდენიმე კვირის განმავლობაში და როგორც ჩანს, ახალი კომპიუტერული სისტემის განადგურების გეგმაც სისრულეში მოვიყვანეთ.

ჩემი ყოველდღიური მუშაობა გუშინ დილით, 5 საათზე უფრო ადრე დაიწყო, როდესაც ედ სანდერსს „დანაყოფ 8“-ის ავტოფარეხში, საწვავი ზეთის ამონიუმნიტრატის სასუქთან შერევაში ვეხმარებოდი. სახრახნისით სათითაოდ გავხვრიტეთ ტომრების ბოლოები, რომ ძაბრი ჩატეულიყო. სანამ მე ტომრები და ძაბრი მეჭირა, ედი ბოცაში საწვავის ზეთს ასხამდა.

შემდეგ ნახვრეტებს წებოვანი ლენტი გადავაკარით, მე კი ტომარა ამოვაპირქვავე, რომ შიგთავსი შემერია, სანამ ედი ბოცას ზეთის ღუმელიდან ავსებდა. დაახლოებით სამი საათი დაგჭირდა 44 ტომარა ამოგვევსო, სამუშაომ კი მართლაც გამომფიტა.

ამავდროულად, ჰენრი და ჯორჯი მანქანის მოსაპარად იყვნენ გასულები. მხოლოდ ორნახევარი ტონის ასაფეთქებლისთვის სატვირთო მანქანა ნამდვილად არ გვჭირდებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ სადისტრიბუციო ფურგონი ჩაგვევდო ხელში, რომელიც ოფისების მომმარაგებელ ფირმას ეკუთვნოდა. ისინი მანქანით გაყვნენ არჩეულ ფურგონს, სანამ ეს უკანასკნელი ტვირთის გადასაცემად არ შეჩერდა. როდესაც ზანგმა მძღოლმა ფურგონის საბარგული გახსნა და შიგნით შევიდა, ჰენრი მას უკან შეყვა და სწრაფად და უხმაუროდ გამოჭრა კისერი.

ჯორჯი მანქანას მიჰყვებოდა, სანამ ჰენრი მას ავტოფარეხამდე მიიყვანდა. სწორედ მაშინ დაბრუნდნენ, როცა მე და ჯორჯი მუშაობას ვამთავრებდით. დარწმუნებულები არიან, რომ ირგვლივ ისინი არავის შეუმჩნევია.

დამატებით ნახევარი საათი დაგჭირდა, რომ ნახევარი ტონა მიმეოგრაფით დამზადებული ქაღალდები და სხვადასხვა საოფისე ნივთები დაგვეცალა, შემდეგ კი ჩვენი დინამიტის ყუთები და სასუქის ტომრები საბარგულში ფრთხილად მოგვეთავსებინა. საბოლოოდ, მავთული, ხვრელების დახმარებით, საბარგულიდან მძღოლის კაბინამდე გამოვატარე, რომ დეტონატორი კაბინიდან მემართა. მძღოლის გვამი საბარგულში დავტოვეთ.

ჯორჯი და მე ფედერალური ბიუროს შენობას მივადექით, ჰენრი კი ფურგონში იცდიდა. ჩვენ გვინდოდა მეთე ქუჩაზე, სატვირთო შესასვლელთან გაგვეჩერებინა და დავლოდებოდით, სარდაფის კარი სხვა სატვირთოსთვის როდის გაიღებოდა, იმავდროულად, ორი კვარტლის მოშორებით, ჰენრი „ჩვენი“ ფურგონით გველოდებოდა. შესაფერისი დროის მოსვლისთანავე, რაციით გადავცემდით სიგნალს.

როდესაც შენობას მივადექით, ვნახეთ, რომ სარდაფის შესასვლელი რატომღაც ღია იყო, თანაც ირგვლივ პერიმეტრში არავინ ჩანდა. ჰენრის მაშინვე მივეცით სიგნალი და კიდევ შვიდი თუ რვა კვარტლით მოვშორდით იქაურობას, სანამ მანქანის გასაჩერებლად კარგი

ადგილი არ ვიპოვეთ. მალევე, კვლავ უკან დავიწყეთ აუჩქარებელი მოძრაობა, თან საათს არ ვაშორებდით თვალებს.

ჯერ კიდევ ორი კვარტლის მოშორებით ვიყავით, როცა ვიგრძენით, რომ ფეხქვეშ მიწა შეზანზარდა. რამდენიმე წამში გამაყრუებელმა აფეთქების ხმამ მოგვიცვა, რომელსაც უშველებელი ღრიალი და ნგრევის ხმა მოყვა და რომელსაც გრანდიოზულობა ირგვლივ მინების მსხვრევის ხმამ შემატა.

ჩვენს უკან მდებარე მაღაზიის მინა, ისევე, როგორც კიდევ ათობით სხვა, მთელი ქუჩის სიგრძეზე, ნამსხვრევებად იქცა. მინის ნამსხვრევების მოკაშკაშე, სასიკვდილო წვიმა რამდენიმე წამის განმავლობაში გრძელდებოდა უახლოესი შენობებიდან და მაღალი სართულებიდან, პარალელურად, შავი კვამლის სვეტი, ჩვენს თავს ზემოთ, ცისკენ მიიწევდა.

ჩვენ KNX გადამცემის შენობაში შევხვდით, სადაც ჯგუფს ვეხმარებოდით, რომ სადგური მწყობრში მოეყვანათ მას შემდეგ, რაც მასზე შეტევა მივიტანეთ. ამგვარად, სწორედ ამას ვსაქმიანობდი ოთხი დღის განმავლობაში: ვარემონტებდი დაცხრილულ გადამცემებს, ვაკონტროლებდი გადამცემის სიხშირეს და ვანახლებდი აღჭურვილობას. ახლა ერთი FM და ორი AM სადგური გვაქვს, ორივე მათგანი საგანგებო გენერატორზე მუშაობს.

სამივე შემთხვევაში, სტუდიაში გამავალი კაბელები გადავჭერთ და გადამცემ პუნქტზე ჩვენი ჯგუფი დაუყოვნებლივ დავასაქმეთ.

ჰენრი ჯიპით მოვიდა, ყვიროდა, პოლკოვნიკის ემბლემიან ამერიკის სამხედრო უნიფორმას ატარებდა, თან კი სამი ჯარისკაცი ახლდა, რომელთაც ცეცხლსასროლი იარაღები და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები მოჰქონდათ. ჰენრის მზად ჰქონდა ტექსტი, რომელიც უნდა გადაეცათ - ტექსტი, რომელიც პირველ რიგში სამხედრო პირებისკენ იყო მიმართული.

როგორც კი მიკროფონებისა და აუდიომოწყობილობების გადამცემში ჩამონტაჟება დავასრულეთ, ჰენრი და მე გვერდზე გავედით, რომ გვესაუბრა, სანამ მის წერილს დიქტორი რადიოში გადასცემდა. იგი მოუწოდებდა ყველა თეთრკანიან სამხედრო პირს, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩართულა რევოლუციაში, თან აფრთხილებდა მათ, ვინც მოწოდებას არ გაითვალისწინებდა. შეტყობინება კარგად იყო დამუშავებული და დარწმუნებული ვარ, რომ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებზე მძლავრ გავლენას იქონიებდა.

როგორც აღმოჩნდა, ჰენრი ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციაში შეიარაღებული ძალების ახალწვეულთა მიღების საქმეს ხელმძღვანელობდა. იგი ძალისხმევით კონცენტრირებას დასავლეთ სანაპიროზე ახდენდა, ამიტომ აქ მარტში გადმოვიდა. ისტორია, რომელიც მომიყვა, საკმაოდ გრძელი იყო, მაგრამ მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: „ორგანიზაციის დაარსების დღიდან, ახალწვეულებს ორ სამხედრო დონეზე ვიღებდით. დაბალ დონეზე, 1991 წლის სექტემბრამდე ნახევრად გახსნილად ვოპერირებდით, მას შემდეგ კი ფარულად. საქმიანობა სამხედრო სამსახურში ჩარიცხულ პირებსა და არაკომბატანტებს შორის ჩვენი პროპაგანდის ძირითადად ჯაჭვურ რეჟიმში დისემინაციას გულისხმობდა.“

თუმცა ჰენრიმ მითხრა, რომ უფრო მაღალ საფეხურზეც ვიღებდით წევრებს, მაქსიმალურად საიდუმლოდ.

რევოლუციური დანაყოფის სტრატეგია მაღალი რანკის სამხედრო მეთაურებზე წარმატებულ გამარჯვებაში მდგომარეობდა, ორშაბათს კი დამალული კოზირი გავხსენით. სწორედ ამიტომ, არ გავიწიეს შეიარაღებულმა ძალებმა წინააღმდეგობა და სწორედ ამიტომ ესხმოდა თავს და ბომბავდა სხვადასხვა სამხედრო დანაყოფი ერთმანეთს ბოლო ოთხი დღის განმავლობაში.

შიდა-სამხედრო კონფლიქტი ერთი მხრივ დაიწყეს დანაყოფებმა, რომლებსაც ჩვენი თანამოაზრეები მეთაურობდნენ, ხოლო მეორე მხრივ კი სისტემის ერთგულებმა (ისინი უმრავლესობას შეადგენენ). კონფლიქტის მთავარი ასპექტი მალე ზანგებისა და თეთრების ბრძოლაში გადაიზარდა.

სამხედრო დანაყოფებმა, რომლებსაც პრო-ორგანიზაციის ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ დაიწყეს ზანგი სამხედრო პირების განიარაღება მაშინვე, როგორც კი ორშაბათის თავდასხმა განვახორციელეთ. მიზეზად დაასახელეს ის, რომ ზანგმა მეზრძოლებმა აჯანყება წამოიწყეს სხვა დანაყოფებში, მათ კი მაღლიდან მიიღეს ბრძანება, რომ განეიარაღებინათ ზანგები, იმისთვის, რომ აღმოეფხვრათ ამბოხების გაფართოების რისკები. ზოგადად, თეთრკანიანი

სამხედრო პირები მზად იყვნენ და სურდათ კიდევ, რომ დაეჯერებინათ ეს ისტორია, ამიტომ არ დასჭირვებიათ მეორედ შეხსენება თავიანთ დანაყოფებში ზანგებისკენ მიემართათ იარაღი. ისინი, ვინც ლიბერალური მისწრაფებების გამო ყოყმანობდნენ, ადგილზე მოკლეს.

სხვა დანაყოფებში ჩარიცხულმა ჩვენმა ხალხმა მარტივად დაიწყო ყველა ზანგის მოკვლა, რომელსაც უნიფორმაში ხედავდა, შემდეგ კი გადავიდა დანაყოფებში, რომელთაც ჩვენი თანამოაზრეები უძღვებოდნენ. ზანგები ისე იქცეოდნენ, რომ აჯანყების მითს რეალობად აქცევდნენ. იმ დანაყოფებში, რომელსაც პრო-სისტემის მეთაურები უძღვებოდნენ, თეთრებსა და ზანგებს შორის დაუნდობელი ბრძოლა წამოიწყო.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ დანაყოფების თითქმის ნახევარი შავებით არის დაკომპლექტებული, ბრძოლა ხანგრძლივი და სისხლიანი იყო. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თანამებრძოლებით დაკომპლექტებული დანაყოფები საწყის ეტაპზე მხოლოდ 5%-ს შეადგენდნენ პრო-სისტემური ძალების წინააღმდეგ, შიდა ომმა თეთრებსა და ზანგებს შორის ამ უკანასკნელის პარალიზება მოახდინა. ამგვარად, ახლა თეთრები მზარდი რიცხვით გვევლინებიან ჩვენს დანაყოფებში.

ჩვენმა რადიომაუწყებლობამ ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ჩვენს ძალას გადავაჭარბეთ, რა თქმა უნდა, და მოვუწოდეთ თეთრკანიან სამხედრო პირებს თუ სად უნდა მისულიყვნენ გაერთიანების სურვილის შემთხვევაში. მათ დასარწმუნებლად - იმისთვის, რომ ზანგები დაგვეფრთხო და თავიანთი მოქმედების გაგრძელებისკენ გვებიძგა - ერთ-ერთი გადამცემი ყალბ სადგურად გადავაკეთეთ და ვპროვოცირებდით შავ რევოლუციას, ვეუბნებოდით რა ზანგებს, რომ ესროლათ თავიანთი თეთრკანიანი ოფიცრებისა და არაკომბატანტებისთვის, სანამ თეთრები მათ განიარაღებას შეძლებდნენ.

ლოს-ანჯელესში ეფექტურ წინააღმდეგობას მხოლოდ რამდენიმე სამხედრო დანაყოფი გვთავაზობდა, მათ შორის იყო საჰაერო და ბომბდამშენი ავიაციის მებრძოლები და საჰაერო-საზღვაო დანაყოფი ელ ტოროში. ისინი თავს ესხმოდნენ სამხედრო ბაზებს და სჯეროდათ, რომ ჩვენზე მოქმედებდნენ. თუმცა, ჰენრის სიტყვების თანახმად, იმდენივე ზიანს აყენებდნენ პრო-სისტემურ ძალებს, რამდენსაც ჩვენ.

ჰენრიმ ჩაიხიბითა და ამიხსნა, რომ ორგანიზაციამ საკმარის პროგრეს ვერ მიაღწია კალიფორნიის ეროვნული გვარდიიდან წევრების მიღებაში, რომ რომელიმე გვარდიული ძალის იმედი ჰქონოდა. ამგვარად, ორგანიზაციამ ლოკალური გვარდიის მეთაური, გენერალი ჰაუელი გაიტაცა, ორშაბათ დილის იერიშამდე, გამაფრთხილებელი ზომებისთვის.

როდესაც სისტემამ ჰოუელი ვერ აღმოაჩინა, დაშინდა, რომ ის ჩვენ შემოგვიერთდა. მათი შიში ეჭვგარეშე დადასტურდა, როცა მათ გაიგეს, რომ ჰოუელმა საჩქაროდ დატოვა სახლი სამ უცნობთან ერთად ორშაბათს, შუალამეს, ერთი საათით ადრე, სანამ ყველაფერი კულმინაციას მიაღწევდა. ყოველ შემთხვევაში, ეჭვებმა ისინი მალე დაასუსტა, ამგვარად, მათ ერთგულ საჰაერო ძალებს ეროვნული გვარდიის თითოეული არსენალისა და საწყობის დაბომბვა უბრძანეს, ორშაბათ შუადღეს.

კამპ პენდლეტონში უპირატესობაც კი არ გვექონდა მოპოვებული, სანამ სისტემა პანიკაში არ ჩავარდა და დაბომბვები არ ბრძანა. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ ნაბიჯმა შემოაბრუნა სიტუაცია ჩვენ სასარგებლოდ. პენდლეტონის არეალში ჯერ კიდევ უღმობელი ბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ აშკარა უპირატესობას ვფლობთ.

არ ვიცი, ტანკების კოლონა, რომელმაც დღეს ლოს ანჯელესის პოლიციის მთავარი შტაბ-ბინა გააუვნებელყო, რომელი ბაზიდან გამოვიდა, მაგრამ ნამდვილად ღმერთის გზავნილი იყო ჩვენთვის. რომ არა ისინი, ვერაფერს გავხდებოდით.

დასაწყისშივე, ლოს-ანჯელესის პოლიცია ჩვენი ყველაზე ორგანიზებული მოწინააღმდეგე იყო. მცირე პოლიციის ძალები შეზღუდული იურისდიქციით განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენდნენ. ზოგიერთი მათგანი სრულიად გამოვიყვანეთ მწყობრიდან. რამდენიმემ, ადრინდელი შეხლა-შემოხლების გამო გადაწყვიტა უკანა პლანზე დარჩენილიყო და საკუთარი საქმისთვის მიეხედა. თუმცა, დაახლოებით 10,000 კაცი ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტიდან, გასულ რამდენიმე საათამდე ხელჩართულ ბრძოლას გვიწევდა, თუმცა საკმაოდ უხეშად მოქმედებდნენ. აქ მინიმუმ 100 მოკლული გვყავდა ბოლო ოთხი დღის განმავლობაში - მათ შორის 15-20% ლოკალური საბრძოლო ძალის წევრი იყო.

არ ვიცი პოლიციასთან მიმართებაშიც იმავე რატომ არ გავაკეთეთ, რაც სამხედრო ძალებთან. შეიძლება, ეს მხოლოდ კადრების უკმარისობა იყო ჩვენი მხრიდან, თანაც, სამხედრო წევრების მიღება მეტად პრიორიტეტული იყო, ვიდრე საპოლიციო. ყოველ შემთხვევაში, პოლიციის მთავარი შტაბ-ბინები თითქმის მაშინვე გახდა კონტრევოლუციური წინააღმდეგობის ცენტრი.

ლოს ანჯელესის ქალაქის პოლიციას ქვეყნის რამდენიმე შერიფის დანაყოფი და საგზაო პოლიციაც კი შეუერთდა. ამგვარად, მთავარი შტაბ-ბინის შენობა მტერშეუვალ ციხე-სიმაგრედ გადააკეთეს, რომლის წინააღმდეგაც ვერაფერს ვხდებოდით. ფაქტობრივად, ეს უეჭველი სიკვდილი იყო ნებისმიერი ჩვენი წევრისთვის, ვინც შენობასთან რამდენიმე კვარტალით მიახლოებას გარისკავდა. მათ საწვავის უზარმაზარი საცავი, ათასობით მანქანა და საკომუნიკაციო აღჭურვილობისთვის კვების ავარიული წყარო ჰქონდათ. ყველაფერი ამის წყალობით, საგრძნობელ წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

იყენებდნენ რა ვერტმფრენებს დაზვერვისთვის, მათ მოინიშნეს ჩვენი წერტილები, შენობები, რომელიც ავიღეთ და ტრანსპორტით აგზავნიდნენ 200-300 კაციან რეიდერების ჯგუფს. ჩვენი მხრიდან თითქმის ყველა ძირითადი საგზაო ქსელის დანგრევამ მოძრაობა ფართო მასშტაბით შეზღუდა, თუმცა, საპაერო დაზვერვამ შესაძლებლობა მისცა მათ, რომ დაბრკოლებები მარტივად გადაელახათ.

ჩვენ შევძელით გარკვეული, ყველაზე აუცილებელი წერტილების დაცვა - მათ შორის დაკავებული რადიოსადგურების - მხოლოდ ცეცხლსასროლით შეიარაღებული ჯგუფების მეშვეობით, რომელიც გამზირთან მიახლოებას აკონტროლებდნენ. ჩვენს ხალხს არ ჰქონდა შესაბამისი იარაღი ჯავშანთან გასამკლავებლად, თუმცა, საბედნიეროდ, პოლიციელებს

მხოლოდ რამდენიმე ჯავშანსატრანსპორტო საშუალება ჰყავდათ. ჩვენი საბრძოლო დანაყოფებისთვის კი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება ხელმისაწვდომი მხოლოდ დღეს გახდა.

თუ ლოს-ანჯელესის პოლიციელები შეძლებდნენ დაკავშირებოდნენ რომელიმე სამხედრო დანაყოფს, რომელიც სისტემის ერთგულად რჩებოდა, ეს ჩვენი დასასრული იქნებოდა. საბედნიეროდ, ათობით ძველი M60-ით შეიარაღებულმა დანაყოფმა მათ დაასწრო. ისინი გაძვრნენ საგზაო საგუშაგოებში, რომელიც პოლიციამ შტაბ-ბინის ირგვლივ მოათავსა, ცეცხლგამჩენებით დაესხნენ თავს და დაბომბეს შენობა, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღებით გულუხვად ამოწვეს ასობით მანქანა პერიმეტრში.

პოლიციელების საკომუნიკაციო და ენერგოკვების აღჭურვილობა მწყობრიდან გამოვიდა, შენობის უამრავ ნაწილში კი ცეცხლი გაჩნდა. მათ შენობის ევაკუირება მოუწიათ, ჩვენ კი ავტოსადგომისა და მიმდებარე ქუჩების ირგვლივ 81მმ ნაღმმტყორცნით ცეცხლი გავხსენით იქამდე, სანამ არეალი მათთვის სრულიად გამოუსადეგარი არ გავხადეთ. ახლა ეს ადგილი გაუკაცრიელებულია და ჯერ კიდევ იწვის. პოლიციელების უმრავლესობა სახლისკენ გაეშურა და ჩვეულებრივი მოქალაქის ტანსაცმელში გამოეწყო.

ახლა, როდესაც ორგანიზებული წინააღმდეგობის უმრავლესობა გაუვნებელყოფილია, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომ ამ არეალის ეფექტურად კონტროლქვეშ აყვანა მოვასწროთ, სანამ ქვეყნის სხვა ნაწილებიდან სამხედრო ძალებს გამოგზავნიან. არ მესმის, აქამდე რატომ არ მოიქცნენ ასე.

სულ რამდენიმე საათის წინ მითხრეს, რომ დილით ტექნიკური დანაყოფის ხალხისთვის მიმემართა, რომელსაც ელექტროენერჯის, წყლის მიწოდებისა და საავტომობილო მოძრაობისთვის გზების აღდგენის გეგმაზე, ასევე დარჩენილი ბენზინისა და დიზელის საწვავის დაზღვევაზე ევალება მუშაობა. ეს უფრო მეტად მშენებლობის ინჟინერის საქმეს გავს, ვიდრე ჩემსას.

ასევე, ოდნავ ნაჩქარევად ჟღერს, მაგრამ მამხნევებს იმის ცოდნა, რომ რევოლუციურ დანაყოფს მომავლის სჯერა. ალბათ, ხვალ უფრო მეტს გავიგებ ზოგად სიტუაციაზე.

10 ივლისი. კარგი, კარგი, კარგი! რაღაცები მართლა ხდება - ზოგი კარგი, ზოგი ცუდი, მაგრამ, ჯერჯერობით, უფრო მეტად კარგი.

სამხედრო და საპოლიციო სიტუაცია არსებითად კონტროლქვეშაა. ფაქტობრივად, თითქმის მთელ დასავლეთ სანაპიროზე, სან ფრანცისკოსა და კიდევ რამდენიმე სხვა არეალში ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს..

აქ ამ წუთამდე რჩება რამდენიმე შეიარაღებული ჯგუფი - ნაწილი პოლიციელი და ნაწილი სამხედრო პირი. ირგვლივ ხეტიალობენ და პატარა ზიანს იწვევენ. მაგრამ ჩვენ დავაზღვიეთ ყველა ბაზა და სამხედრო აეროდრომი, გზაარეულ პერსონალსაც 1-2 დღეში მივხედავთ. ორდენი გარეთ მუშაობს, რომ მხედველობის არეში მოკლას ყველა, ვინც შეიარაღებულია და ვინც ჩვენს სამკლაურს არ ატარებს.

ეს ნამდვილად მისასალმებელი ცვლილებაა იმ თვალსაზრისით, რომ რამდენიმე დღის წინ, ჩვენ ვიყავით ისინი, ვისაც ესროდნენ. რამდენიმე წლიანი მალვის, შენიღბვის და პოლიციის დანახვით გამოწვეული შიშის შემდეგ, მშვენიერი შეგრძნებაა თავისუფლება და იმის გაცნობიერება, რომ ახლა მხოლოდ ჩვენ გვაქვს იარაღი.

მთავარი პრობლემის არსი მაინც სამოქალაქოა. სამოქალაქო საზოგადოება სრულიად უღმობელი გახდა. რეალურად, მათი დადანაშაულება რთულია და მიკვირს, რომ მოქმედება დაიწყეს - მეტნაკლებად - თუმცა მაინც. ყველაფრის შემდეგ, ისინი ელექტროენერჯისა და წყლის გარეშე დარჩნენ ერთი კვირის განმავლობაში. მათი არსებითი ნაწილი რამდენიმე დღე საკვების გარეშეც კი იყო.

პირველ რამდენიმე დღეს - ორშაბათს და სამშაბათს - საზოგადოება სწორედ ისე მოიქცა, როგორც ველოდით, რომ მოიქცეოდა. ათასიდან ასი მათგანი მანქანაში ჩაჯდა და ავტოსტრადებისკენ გაეშურა. მათ ვერ შეძლეს შორს წასვლა, რა თქმა უნდა, რადგან საავტომობილო ქსელზე მივიტანეთ იერიში. სამაგიეროდ, შეძლეს ყველაზე გრანდიოზული საცობის შექმნა, ამგვარად, დავალების წარმატებით შესრულებამ პოლიციისთვის სახმელეთო მიმოსვლა შეუძლებელი გახადა.

სამშაბათ დღეს, თეთრკანიანი მოსახლეობის უმრავლესობა სახლში დაბრუნდა - ან, მინიმუმ, სამეზობლოში - უმეტესობამ თავიანთი დაცხრილული მანქანა გზად დატოვა და ფეხით გაბრუნდა უკან. მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ პირველ რიგში, რაიმე შესაძლო გზა არ არსებობდა მათთვის, რომ ლოს-ანჯელესი ავტომობილით დაეტოვებინათ. მეორე, რომ მათ არ შეეძლოთ საწვავის შეძენა, რადგან ბენზინგასამართ სადგურებზე ელექტროტუმბოები არ მუშაობდა. მესამე, რომ მაღაზიებისა და დაწესებულებების უმრავლესობა დაკეტილი იყო; მეოთხე, რომ რაღაც უზარმაზარი ხდებოდა. ისინი სახლში დარჩნენ, რადიო ჩართული დატოვეს და დარდობდნენ. კრიმინალისა და ძალადობის შესამჩნევად ცოტა შემთხვევა იყო, თუ არ ჩავთვლით ზანგების სათვისტომოებს, სადაც აჯანყებები, ყაჩაღობები და ცეცხლის წაკიდებები ორშაბათიდან დაიწყო და დღითიდღე მეტად ინტენსიური და მასშტაბური ხდებოდა.

სამშაბათ დილით, რატომღაც, თეთრების არეალშიც იყო ყაჩაღობის შემთხვევები, უფრო მეტად სასურსათო მაღაზიებში. ზოგიერთი 48 საათის განმავლობაში შიშში ილობდა და უკანანონოდ კი არა, სასოწარკვეთილად იქცეოდნენ.

მხოლოდ ხუთშაბათს საღამოს დავრწმუნდით, რომ პოლიცია დავიმორჩილეთ და არაფერი გვიქნია, რომ საზოგადოებრივი არეულობა დაგვეშალა. რაც უფრო მეტი იყო ქუჩაში, მშვიერი და სასოწარკვეთილი, ამსხვრევდა მაღაზიების ფანჯრებს და იპარავდა საკვებს, ეძებდა სასმელად ვარგის წყალს და ახალ ბატარეას მისი რადიოსთვის, ერთვებოდა ჩხუბში ხალხთან, რომელიც ასევე იქცეოდა, მით უფრო ნაკლები დრო ჰქონდა პოლიციას ჩვენთვის. ეს თავდაპირველად, რასაკვირველია, ელექტროენერჯის, წყლის და მოძრაობის გაწყვეტის ძირითადი იდეა იყო.

თუ პოლიცია მხოლოდ ჩვენით დაკავდებოდა, ვერ გავიმარჯვებდით. მაგრამ მათ არ შეეძლოთ ჩვენთან და საყოველთაო საზოგადოებრივ არეულობასთან ერთდროულად

გამკალვება.

ახლა, ჩვენ გვევალება წესრიგის აღდგენა, ეს კი ოდნავ რთული იქნება. ხალხმა შიშითა და პანიკით აბსოლუტურად დაკარგა კონტროლი საკუთარ თავზე. ისინი სრულიად უგუნურად იქცევიან და როგორც ჩანს, უამრავი სიცოცხლე მსხვერპლშეწირვის რისკის წინაშე დგას, სანამ კონტროლს დავამაყარებთ. ნაწილობრივ მეშინია, რომ შიმშილი და გამოფიტვა ამას ჩვენ მაგივრად იზამს, რადგან ჩვენი ადამიანური და მატერიალური რესურსი ამ ამოცანისთვის სრულიად არაადეკვატურია.

დღეს იმ ჯგუფთან ერთად გავედი, რომელსაც საწვავის მომარაგება ევალება და სამოქალაქო პრობლემებსაც ახლოდან შევხედე. ავკანკალდი. უზარმაზარი ნავთობმზიდი სატვირთოთი ვმოძრაობდით, უკან შეიარაღებული ჯიპების ესკორტი მოგვყვებოდა, ბენზინგასამართი სადგურიდან ბენზინგასამართ სადგურამდე, პასადინას არეალში და ყოველი სადგურიდან ჩვენს ნავთობმზიდში ვტუმბავდით ბენზინს. ამ მხარეში საკმარისი საწვავი აღმოჩნდა, რომ ჩვენი საჭიროებები გარკვეული დროით დააკმაყოფილოს, მაგრამ მოქალაქეებს მანქანების გარეშე მოუწევთ ცხოვრების გაგრძელება.

რამდენიმე წლის წინ, პასადინა ყველაზე მეტად იყო თეთრკანიანებით დასახლებული, მაგრამ ახლა არსებითად შავკანიანთა საცხოვრებელი გახდა. როდესაც ზანგების სამეზობლოში მდებარე ბენზინგასამართ სადგურს ვუახლოვდებოდით, უბრალოდ ცეცხლს ვუხსნიდით მათ, რომ დისტანცია დაეცვათ. თეთრკანიანებით დასახლებულ პუნქტებში კი ირგვლივ გვეხვეოდა მშვიერი ხალხი, რომელიც საკვებს გვემუდარებოდა და რომელიც, რა თქმა უნდა, არ გვექონდა.

ჯანდაბა, ძალიან მაგარია რომ ცეცხლსასროლი იარაღი არ აქვთ, თორემ ახლა ჯოჯოხეთში ვიქნებოდით. მადლობა თქვენ, სენატორო კოჰენ!

უპს! წერისთვის დრო აღარ მაქვს - შეხვედრაზე უნდა წავიდე. იქ ეროვნულ სიტუაციაზე ვისაუბრებთ.

11 ივლისი, 1991 წელი. დატვირთული დღეა! ახლა ელექტროენერჯის ჩრდილოეთში მდებარე ჰიდროელექტროსადგურიდან ვიღებთ, მაგრამ ბევრს არა. ელექტრობის რაციონი მკაცრად უნდა განისაზღვროს. მთელ დღეს ქალაქის იმ ადგილების მონიშვნაში ვატარებ, სადაც ელექტროენერჯის მიწოდება უნდა მოხდეს, შემდეგ კი ჯგუფებს ვაგზავნი, რომ გადაჭრან ან გამოცვალონ არსებული ელექტროკაბელები, ამ უკანასკნელთან კი შემცვლელი დააკავშირონ. მოგვიანებით, თუ გადანაწილება წარმატებული აღმოჩნდება, ჩვენ კიდევ რამდენიმე სექტორს მოვამარაგებთ ენერჯით.

გასულ საღამოს გავიგე ვაშინგტონი ქვეყნის სხვა ნაწილიდან ჯარებს რატომ არ გზავნიდა: იმიტომ, რომ ვანდერბერგის საჰაერო ძალების ბაზა და მისი ყველა რაკეტა ჩვენს ხელშია!

გასული კვირის ორშაბათის იერიშიდან პირველი 48 საათის განმავლობაში, სისტემა ისეთ პანიკაში იყო, ხოლო სამხედრო სიტუაცია ისეთ ექვექვემ იდგა, რომ ძირითადი ჯარის მოქმედება შეუძლებელი იყო. ამავდროულად, ისე ვიწრო დისტანციით ვიყავით მიმოფანტულები, რომ ყველგან დესტრუქციის, არეულობისა და დაბნეულობის უზარმაზარი ტალღა შევქმენით.

ჩვენს ხალხს, ქვეყნის სხვა ნაწილებში მდებარე სამხედრო ბაზებში მიუთითეს, რომ მიემართათ ისეთი მოქმედებებისთვის, რომელიც თავიანთი დანაყოფის დროებით პარალიზებაზე იყო გათვლილი. მასში იგულისხმებოდა საბოტაჟი, წვა და ნგრევა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით - შერჩევითი მკვლელობები. დანაყოფებში, სადაც შავების მაღალი კვოტაა, ჩვენი ხალხი ჩვეულებრივ ხოცავს მათ, ყვირიან რა სლოგანებს „თეთრი ძალა!“ წინასწარგანზრახული სურვილით, რომ შავები პროვოკაციაზე წამოაგონ. ამას მოყვა იმავე ტაქტიკა, რომელიც აქ წარმატებულად გამოვიყენეთ: რადიოსადგურების აღება და ზანგებისთვის ყალბი განცხადებების გაკეთება, რომ იარაღები თეთრი ოფიცრებისკენ მიმართონ.

დანაყოფებმა სხვა საკომუნიკაციო ცენტრები აიღეს და აგზავნიდნენ შეტყობინებებს, რომელიც მცდარ წარმოდგენას ქმნიდა, თითქოს ისინი ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ.

და ყველაზე მთავარი, ჭეშმარიტი აოხრებით ვიძიეთ შური სამოქალაქო საზოგადოებაზე. ელექტროსადგურებზე, საკომუნიკაციო საშუალებებზე, კამხალებზე, საგზაო ქსელებზე, ბენზინსაცავებზე, გაზსადენებსა და ყველაფერზე, რისი დაწვაც და დანგრევაც შეიძლებოდა, ორშაბათ დილით იერიში მივიტანეთ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომ საზოგადოება პანიკაში ჩაგვეგდო, ხოლო სისტემა არსებული პრობლემებით დროებით დაგვეკავებინა.

ამავდროულად მაცნობეს, რომ ყველაფერ ამასთან ერთად, ევანსტონის სადგურზე რეიდსაც ორშაბათ დილით ჰქონდა ადგილი. მეტისმეტად მესიამოვნა, როცა გავიგე, რომ მისიამ სრული წარმატებით ჩაიარა.

საბოლოო შედეგი იყო ის, რომ ამ დროისთვის, როდესაც სისტემამ სიტუაცია სათანადოდ

შეაფასა და საკმარისად ირწმუნა სამხედრო დანაყოფების ერთგულება ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ ვანდენბერგზე მუშაობა დავასრულეთ და ულტიმატუმი წამოვაყენეთ: ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებული ყოველი სამხედრო ქმედება ჩვენი მხრიდან ატომური რაკეტების გაშვებით დასრულდება, რომლის სამიზნეც ნიუ-იორკი და თელავივი იქნება. სწორედ ამიტომ იყო სიმშვიდე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში!

აი, ახლა მესმის რევოლუციური დანაყოფის მთელი სტრატეგია, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელიდან მისხლტებოდა და უამრავ წინათგრძობას მიქმნიდა. რევოლუციურმა დანაყოფმა გააანალიზა, რომ არ არსებობდა სხვა გზა არსებული წევრებით სისტემაზე იმდენად ფართომასშტაბიანი შეტევა მიგვეტანა, რომ ეს უკანასკნელი ჩამოგვეშალა. შეგვეძლო ეკონომიკური საბოტაჟის პარტიზანული კამპანია და ფსიქოლოგიური ზეწოლა კიდევ გაგვეგრძელებინა, რა თქმა უნდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში დრო სისტემის მხარეს იყო. სანამ მართლაც დრამატულ შეტევას არ განვახორციელებთ, რომელიც არსებითად გაზრდის ჩვენი წევრების რიცხვს, სისტემის მხარედი საპოლიციო ძალაუფლება ჩვენ გაუვნებელყოფას შეძლებს.

მაშ, იერიშიც მივიტანეთ. მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი მაინც გვაქვს. მხოლოდ ლოს ანჯელესის არეალში 12 მილიონი ადამიანი გვყავს კონტროლქვეშ. რამდენად გაიზრდება მოსახლეობის რიცხვი ჯერ კიდევ არ არის ნათელი, რადგან ჩრდილოეთ კალიფორნიაში საკმაოდ ანომალური სიტუაციაა.

ამ მომენტში, ორგანიზაციის პირდაპირ კონტროლქვეშ კალიფორნიის ხაზია, რომელიც მექსიკის საზღვრიდან 150 მილის სიგრძეზე მიუყვება ჩრდილოეთ ლოს-ანჯელესს, ხოლო შიდა სანაპიროდან 50-100 მილის დისტანციით არის დაშორებული. ამ ხაზში შედის სან დიეგო, ლოს-ანჯელესი და ყველა მნიშვნელოვანი ვანდენბერგის საჯარო ძალების ბაზა, სიერასიდან მოჰყავს უდაბნომდე, ბუნებრივი აღმოსავლური საზღვრიდან ჩვენს ტერიტორიამდე.

სანაპირო ზოლში, რომელიც თითქმის ორეგონის საზღვრამდე მიუყვება და სან-ფრანცისკოსა და საკრამენტოზე გადის, ანტი-სისტემურმა სამხედრო ფრაქციამ მოქმედება დაიწყო, მაგრამ დავასკვენი, რომ ავტორიტეტი იქ ჯერ კიდევ არ დაგვიმყარებია. ორეგონისა და ვაშინგტონის შტატები ჯერ კიდევ მტკიცედ არიან სისტემის კონტროლის ქვეშ, განსხვავებით ადრინდელი ჭორებისგან.

ქვეყნის დანარჩენ ნაწილში, ყველაფერი საყოველთაო დებოშმა მოიცვა, ჩვენი თავდასხმა და მიმალვა კი გრძელდება, თუმცა სისტემა დანგრევის უშუალო საფრთხის წინაშე ჯერ კიდევ არ დგას. მთავარი პრობლემა, რომელზეც მთავრობა დარდობს, არის ექვი, ენდოს თუ არა შეიარაღებულ ძალებს. ნერვიულობის მოტივით, გარკვეულ ადგილებში ჯარები ჯერ კიდევ ბაზებზე არიან დატუსაღებულები, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში წესრიგის აღდგენა ძალიან სჭირდებათ.

საზოგადოებრივი აჯანყების ყველაზე უარეს ადგილებში - პირველ რიგში, საკვები მარაგის ამოწურვის გამო - მთავრობა იყენებს სპეციალურ სამხედრო დანაყოფებს, რომელიც მხოლოდ

არათეთრკანიანებით არის დაკომპლექტებული. მათ ეს შავი დანაყოფები კალიფორნიის ანკლავის საზღვრის გარშემო გაგზავნეს.

როგორც ჩანს, ეს დანაყოფი ბარსტოუს მიუახლოვდა, იგი აქედან 100 მილით ჩრდილოეთითაა.

ზოგიერთი თეთრკანიანი ლტოლვილი ჩვენს ტერიტორიაზე იპარება, მათი მდგომარეობა კი მართლაც გულისამრევია: თეთრკანიანთა მასობრივი გაუპატიურებები და ტერორი ზანგი ჯარების მხრიდან. მეზიზღება, როცა მეშინია, რომ თეთრკანიანებს მსგავსი რამ ხდებათ თავს, თუმცა საპასუხო რეაქცია ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. თანაც კარგია, რომ ვაიძულეთ სისტემა ეჩვენებინა, თუ როგორ განიცდის იგი საზოგადოების მიმართ ნდობისა და ერთგულების ნაკლებობას და თუ როგორ არის დამოკიდებული არათეთრკანიან ელემენტებზე.

ამ მომენტში ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა ჩვენს ტერიტორიაზე შემოღწევას არ ცდილობს. ვანდენბერგის მუქარა მათ აკავებთ, მაგრამ სიტუაცია მუდამ ასე ვერ გაგრძელდება. თუმცა, ეს შანსს მაინც გვამღევეს, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სამოქალაქო საზოგადოება კონტროლქვეშ ავიყვანოთ.

და რა არეულობაა! აქ ამდენი ხანძარი არასდროს ყოფილა, აჯანყება კი ფართომასშტაბიანი გახდა. სამხედრო პირების ჩათვლითაც კი, ჩვენს მხარეს უბრალოდ არ გვყავს საკმარისი ხალხი, რომ წესრიგი შევინარჩუნოთ, სანამ სასიცოცხლო რესურსებს არ აღვადგენთ და კრიტიკულ სიტუაციაში სურსათის სადისტრიბუციო სისტემას არ შევქმნით.

საერთო ჯამში 40,000 შეიარაღებული მეომარი გვყავს, 2/3 ქალაქის არეალიდან, ხოლო დანარჩენი სან-დიეგოდან ვანდენბერგის ჩათვლითაა გაბნეული. საჩოთირო სიტუაციაა, რადგან ორგანიზაციის წევრების გადაჭარბებული რაოდენობის გამო ოცზე ერთი კაცი მოდის - რომელიც არც ისე ცუდი პროპორციაა, როგორც ადრე მეგონა, მაგრამ მაინც საკმაოდ ცუდია! ჯარების უმრავლესობას ორგანიზაციის მიმართ მწირი ლოიალურობაც კი არ გააჩნია და ფაქტობრივად ვერც აანალიზებენ, რომ ბრძანებებს ჩვენგან იღებენ.

აღნიშნულ დრომდე, ჩვენ მათ დღედაღამ დაკავებულებს ვამყოფებდით, ამგვარად კითხვების დასმის დრო არ ჰქონდათ. ორგანიზაციის თითოეული წევრი ყველაზე მაღალ საფეხურამდე - ჰენრიმდეც კი სამხედრო დანაყოფში ირიცხება. ჰენრი გასულ საღამოს, სულ რამდენიმე წუთით ვნახე. როგორც ჩანს, მათ საკმაოდ ძლიერად ვუჭერთ მარწუხებს. ვიმედოვნებ, ასეა!

შანსი მქონდა, გამოვლაპარაკებოდი ჯარის რამდენიმე წევრს, რომელიც საწვავის მომარაგებასა და რესურსების აღდგენაზე ზრუნავდა. როგორც ჩანს, სამი რამით იყვნენ გაკვირვებულნი: რომ მთავრობამ ვაშინგტონში სრულებით დაკარგა კონტროლი, რომ ზანგები, სამხედრო სამსახურში და მის გარეთ, საშიში და არასაიმედო ელემენტები არიან და რომ, ისინი, რომელთაც იარაღები და საკვები აქვთ, მეტად ხელსაყრელ სიტუაციაში არიან ამ მომენტში, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება.

თუმცა, იდეოლოგიურად ღარიბ ფორმაში არიან! ზოგიერთი მათგანი ბუნდოვნად ჩვენს მხარესაა, სხვებს ჯერ კიდევ ურეცხავს სისტემა ტვინს, უმეტესობა კი სადღაც შუაშია. ერთადერთი რამ, რაც მათ მოქმედებას განკარგავს, არის ძალაუფლების ალტერნატიული წყაროს აბსოლუტური არარსებობა.

სისტემა არც კი მიკარებია სამაუწყებლო განცხადებებს, რომელიც ჩვენს რაზმებს ერთგულებისკენ მოუწოდებდა - ალბათ იმიტომ, რომ ეს ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან გამოაშკარავებდა, თუ როგორი ტრიუმფალურია ჩვენი გამარჯვება. ამ მომენტში, სისტემის ოფიციალური პოზიციის მიხედვით სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება და „რასისტ განგსტერებს“ კალიფორნიაში (საუბარი ჩვენზეა) მალე დააკავებენ ან მათ ლიკვიდაციას მოახდენენ. იმ ფონზე, რომ გადაცემდით შეტყობინებებს, სადაც მოვუწოდებდით დღედაღამ აჯანყებულიყვნენ თავიანთი რაზმების წინააღმდეგ და სიტუაციასაც მეტად ვარდისფერ სახეს ვამღვევდით, ვიდრე რეალურად არის, სისტემის ვერსია საკმაოდ ფუყედ ჟღერდა. იმის მაგივრად, რომ უარყონ ჩვენი მოთხოვნები, სისტემამ უბრალოდ ჩვენი ტრანსლაციების ჩახშობა დაიწყო, რომელიც ალბათ მათი მხრიდან ყველაზე გამჭრიახი სვლაა.

14 ივლისი. პირველმა ძირითადმა სურსათის ტვირთმა დღეს მოაღწია ქალაქს - 60 უზარმაზარი ტრაქტორის კოლონა - ახალი პროდუქტებით სავსე ტრაილერი - სან-ხოაკინის ხეობიდან. მათ პროდუქტი დაარიგეს 30 სადისტრიბუციო წერტილში, რომელიც თეთრების ტერიტორიაზე მოვნიშნეთ, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ოკეანეში. ჩვენ მინიმუმ ხუთი ამდენი სურსათი გვჭირდება ყოველ დღე, რომ თეთრკანიანთა საარსებო მინიმუმი დავაკმაყოფილოთ.

საწყობებში ჯერ კიდევ არის არამალფუჭებადი საკვების დიდი მარაგი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სურსათის მალაზია ბოლომდე გამარცხეს. სანამ ოდნავ უკეთ ვართ ორგანიზებული, ლოკალიზაციასა და ინვენტარიზაციას ვახდენთ, შეგვიძლია საწყობში შენახული სურსათის მარაგი შემოსულ ახალ პროდუქტს დავამატოთ. ამავდროულად, უამრავი არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი რამდენიმე საწყობში, იქ ადგილზე მოკლეს ადამიანები, რომლებსაც უარის თქმა არ შეეძლოთ.

ნამდვილად ბინძურ საქმეს ზანგებისა და რასობრივად შერეულთა საცხოვრებელ უბნებში ჩავდივართ. ბოლო ორი დღე სამაშველო ბრიგადების გაგზავნაში გავატარე, იმ არეალებში, სადაც რაზმებმა ეს-ესაა დაასრულეს მუშაობა.

რაზმების დავალებაა განაცალკევონ ზანგები დანარჩენი მოსახლეობისგან და დაატუსაღონ ისინი კონტროლირებად არეალში, სანამ ჩვენი ანკლავიდან არ გავასახლებთ. ყველაფერი მარტივი და პირდაპირი მანერით კეთდება. ზანგების სათვისტომოს მისი აღმოსავლეთის ავტოსტრადასთან სიახლოვით ვარჩევთ, რადგან ამ უკანასკნელის თითოეული გასასვლელის დაბლოკვა შეგვიძლია. ყოველ გასასვლელს ტანკები და შეიარაღებული რაზმები გუშაგობენ.

მალე, სამეზობლოს წმენდაც იწყება. პროცესი წინასწარ განსაზღვრულ ლოკაციაზე ტარდება.

ქვეითთა რაზმს წინ მიყვებიან რადიომიმღებით აღჭურვილი ფურგონები, რომლებიც დროგამოშვებით ისეთი შეტყობინებების ტრანსლაციას ახდენენ, როგორცაა მაგალითად „ყველა ზანგი სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს საკვებისა და წყლის საწყობთან, მარტინ ლუთერ კინგის დაწყებით სკოლაში, 47-ე ქუჩაზე. თითოეულ ზანგს, რომელსაც 43-ე ქუჩიდან ჩრდილოეთით ვნახავთ 1:00-ის შემდეგ, ადგილზე დავხვრეტთ. ყველა ზანგი სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს...“

თავდაპირველად, ზანგების ჯგუფები პოზიციებს არ თმობდნენ და რაზმებს უგულვებელყოფდნენ. როგორც ჩანს წარმოედგინათ, რომ თეთრკანიანები სინამდვილეში მათ არ ესროდნენ. შეცდომა მალევე აღმოაჩინეს, სიტყვა კი სწრაფად გავრცელდა.

ზანგების უმეტესობა ქუჩის გადაღმა მოძრაობდა, აღნიშნული ადგილისკენ მიიწევდა, 1-2 კვარტლის მოშორებით კი მას ქვეითთა რაზმი მიყვებოდა. ეს უკანასკნელი სწრაფად ამოწმებდა ყოველ შენობას, რომლის გასწვრივაც ჩაივლიდა. ზანგებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ თმობდნენ პოზიციებს, ქუჩაშივე უმასპინძლებოდნენ დანებით. თუ წინააღმდეგობის გაწევას ეცდებოდნენ, ადგილზე ხვრეტდნენ, თანაც იარაღების გასროლის პერიოდული ხმა ზანგებს გზის გაგრძელებას აიძულებდა.

ჯერჯერობით, ზანგების მხრიდან კონტრაბანდული ცეცხლსასროლი იარაღებით, ბარიკადებით შემოსაზღვრულ შენობაში განლაგებისა და ჩვენი რაზმებისთვის თავდასხმის ხუთიოდე შემთხვევა დაფიქსირდა. ყოველთვის, როცა ეს ხდება, რაზმები ოკუპირებულ შენობას გვერდს უვლიან და იმახებენ ტანკს, რომელიც შენობას ცეცხლსასროლი იარაღით ცხრილავს და ქვემეხით ანადგურებს.

კიდევ ერთხელ, ძალიან მაგარია, რომ სისტემამ სამოქალაქო საზოგადოება რამდენიმე წლის წინ გადაიარაღა! მეტ ზანგს რომ ჰქონოდა იარაღი, მათთან გამკლავების შესაძლებლობა არ გვექნებოდა, თუ რაოდენობრივ უთანასწორობას გავითვალისწინებთ.

ჩემი სამაშველო ეკიპაჟიც ქვეითთა რაზმის გასწვრივ მოძრაობს. ჩვენი ვალდებულებაა აღწეროთ და დავაზღვიოთ ყველა სასიცოცხლოდ აუცილებელი მარაგი და აღჭურვილობა: ბენზინი და სხვა საწვავის საკმარისი რაოდენობა, არამალფუჭებადი საკვები, სამედიცინო პრეპარატები, მძიმე სატრანსპორტო საშუალებები, გარკვეული სამრეწველო პროდუქტი და ა.შ.

ზანგებმა თავიანთ არეალებში მთელი სურსათის მარაგი გამარცხეს და სულელურად გაანადგურეს კიდევ ბევრი სხვა რამ, რასაც ვეძებდით - თუმცა, მაინც ვპოულობთ ბევრ რამეს, რაც გამორჩათ - მაგალითად 40 ტონა გამომშრალი თევზის მარაგი, ცხოველთა საკვების ქარხანაში, რომელიც ამ დილით აღმოვაჩინეთ. არც ისე გემრიელია, მაგრამ ეს ერთი პარტია ერთი კვირის განმავლობაში 100,000 კაცის პროტეინების მინიმალურ რაოდენობას დააკმაყოფილებს. ასევე აღვადგინეთ ერთი საავადმყოფოსა და ორი კლინიკის წამლების მარაგი, სადაც მედიკამენტების საწყობი ჯერ კიდევ ხელშეუხებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ზანგებმა რეიდის დროს შენობები გამარცხეს.

მივაგენით შემზარავ მტკიცებულებას, თუ, ერთი მხრივ, როგორ გადაჭრეს ზანგებმა საკვების დეფიციტის პრობლემა: კანიზალიზმი. მათ, როგორც ჩანს, გასულ სამშაბათს მთავარ ქუჩებზე ბარიკადების მოთავსება დაიწყეს, რომ თეთრების მიერ მართული მანქანები გაეჩერებინათ. უიღბლო თეთრკანიანებს მანქანებიდან ათრევდნენ, უახლოს ზანგების რესტორანში მიჰყავდათ, კლავდნენ, წვავდნენ და ჭამდნენ.

მოგვიანებით, ზანგებმა ნადირობებისა და რეიდების მოწყობა დაიწყეს თეთრების უბნებში. ერთ-ერთი ზანგის ბინის სარდაფში ერთ ალუწერელ, თავზარდამცემ სცენას წავაწყდით, რომელიც ამ რეიდების წარმატებას ადასტურებდა.

მე და ჩემს ჯგუფს შენობის წინ ჩოჩქოლი მოგვესმა, როდესაც გამარცვულ, თავდაყირა დაყენებულ საწყობს ვამოწმებდით და ქუჩაში გამოვედით. ჯარისკაცების ჯგუფი, რომელიც შესასვლელს დარაჯობდა, აშკარად რაღაცით იყო შეწუხებული. ერთ-ერთი მათგანი შენობიდან გამოვარდა და ტროტუარზე აღებინა. მეორემ, სასტიკი გამომეტყველებით, თეთრკანიანი გოგონა გამოიყვანა შენობიდან. ის დაახლოებით 10 წლის იყო, გაშიშვლებული, ბინძური, ჯერ კიდევ შოკურ მდგომარეობაში.

როგორც კი შიგნით შევალწიე, ამაზრზენი სიმყრალისგან, რომლითაც შენობა იყო გაჟღენთილი, გავკრთი. ცხვირ-პირზე ხელსახოცის აფარებამ ვერ მიშველა, მაგრამ ფარნის დახმარებით სარდაფის კიბეებს ჩავუყევი და ჩავუარე ორ ამერიკულ ჯარისკაცს, რომლებიც ქვევიდან ამოდოდნენ. ერთ-ერთს ხელში უსიტყვოდ გაშტერებული 4 წლის თეთრკანიანი ბავშვი ეკავა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თუმცა, როგორც ჩანს, სიარულის ძალა არ ჰქონდა.

სარდაფი, რომელსაც ორთქლსადენზე დაკიდებული ორი ნავთის ლამპარი ანათებდა, ზანგებს ადამიანების სასაკლაოდ გადაეკეთებინათ. იატაკი შედედებული სისხლით იყო მოლიპული. ტაშტები ზოგან მყრალი შიგნეულობით, ზოგან კი მოკვეთილი თავებით იყო სავსე. ადამიანის ოთხი მცირე ზომის ბარძაყი მავთულებზე კონწიალობდა.

ლამპარის უკან, ხის სამუშაო მაგიდაზე ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ყველაზე შემზარავი რამ ვნახე. იქ თინეიჯერის გოგოს დაკლული და ნაწილებად დაშლილი სხეული იდო. მისი ცისფერი, ცარიელი თვალები სარდაფის კედლებს მიშტერებოდა, მისი გრძელი, ოქროსფერი თმა კი სისხლით იყო შეღებილი, სისხლით, რომელიც გამოჭრილი კისრიდან სდიოდა.

ვალეზინე და კიბეს ბორძიკით გაუყევი, რომ დღის შუქი მენახა. სულისშემძვრელ სარდაფში ხელახლა ჩასვლა ვეღარ შევძელი, მაგრამ ქვევით ჯგუფის ორი წევრი გავვზავნე კამერებითა და ფარნებით, რომ სრული ფოტოჩანაწერები გაეკეთებინათ. ფოტოები ჯარისკაცების ინდოქტრინაციისთვის გამოგვადგება.

ერთ-ერთი გარეთ მდგომი ჯარისკაცისგან გავიგე, რომ სარდაფში მინიმუმ 30 თეთრკანიანი ბავშვის სხეულის ნაწილები იპოვეს, ორი მათგანი კი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ისინი კუთხეში, მილებზე იყვნენ მიბმულნი. შენობის უკანა ეზოში კუსტარულად დამზადებული

მაყალი იდგა, იქვე კი ადამიანის ძვლების უზარმაზარი გროვა ეყარა - მთლიანად დაღრღნილი. ეზოსაც გადავუღეთ ფოტოები.

ძირითადად ზანგების არეალში ვმუშაობდი, მაგრამ თეთრებისა და მექსიკელების უბნებიდანაც საკმაოდ ცუდი ამბები მესმოდა. მათი მხრიდან კანიზალიზმის შემთხვევა, რასაკვირველია, არ დაფიქსირებულა - ზანგები ასეთი კულტურისგან შორს არიან - მაგრამ საკვების გამო ჩხუბში დაღუპვის შემთხვევები იყო. ვიგებდით საშინელ ამბებს, რომ ზანგების ბანდები თავს ესხმოდნენ თეთრების ტერიტორიას და ართმევდნენ მათ სახლებს, განსაკუთრებით მდიდარ ოლქებში, სადაც სახლები ერთმანეთისგან მეტად არიან იზოლირებულები.

თუ დადებით მხარესაც შევხედავთ, რამდენიმე დომინანტური, საშუალო და მუშათა კლასის წარმომადგენელი თეთრების სამეზობლოები დაჯგუფდნენ, რომ მექსიკელებისა და ზანგების თავდასხმებისგან დაეცვათ თავი. ეს სასიამოვნო ევოლუციაა, მაგრამ გასაკვირი იმის ფონზე, თუ ვის აძლევდნენ ხმას ეს სულები გასული წლების განმავლობაში. ნუთუ შესაძლებელია, რომ წლების მანძილზე, ებრაულმა იდეოლოგიურმა დამუშავებამ თეთრკანიანთა მასებში ადგილი ვერ დაიკავა?

სინამდვილეში, ვშიშობ, რომ იგი საკმაოდ ბევრ კლასში დამკვიდრდა. რასობრივად შერეულ სამეზობლოებში, მაგალითად, თეთრკანიანები ბოლო 10 დღის განმავლობაში საშინლად იტანჯებოდნენ და საკუთარი თავების დასაცავად ძალისხმევა ფაქტობრივად არ გამოუჩენიათ. იარაღების გარეშე, რა თქმა უნდა, თავდაცვა რაოდენობაზე და გადარჩენის სურვილზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ თეთრკანიანები შერეულ სამეზობლოებში რაოდენობრივად აჭარბებენ, როგორც ჩანს, მათ საკუთარი ვინაობისა და ერთობის განცდა დაკარგეს, რაც ზანგებსა და მექსიკელებს ჯერ კიდევ შერჩათ.

უპირველესად, როგორც ჩანს, უმეტესობას სჯერა, რომ თავდასაცავად გაწეული ყოველგვარი ძალისხმევა იქნება „რასისტული“, მათ კი რასისტებად მოხსენიების, ან რასისტულად ფიქრის უფრო ეშინიათ, ვიდრე სიკვდილის. მაშინაც კი, როდესაც ზანგები მათ შვილებს იტაცებდნენ, ქალებს კი მათ თვალწინ აუპატიურებდნენ, მათ არსებითი წინააღმდეგობა არც კი გაუწევიათ. ავადმყოფები!

ვერ ვიბრალებ თეთრკანიანებს, რომელთაც თავის დაცვა არც კი უცდიათ და კიდევ უფრო რთულია ჩემთვის იმის გაგება, თუ რატომ უნდა ჩავიგდოთ თავი საფრთხეში და შევეწიროთ იმას, რომ ეს ტვინგამორეცხილი ნაძირლები გადავარჩინოთ ბედისწერისგან, რომელსაც ჭეშმარიტად იმსახურებენ. თანაც, ყველაზე მეტი დაბრკოლება და საფრთხე სწორედ რასობრივად შერეულ არეალებში გვხვდება!

ჩვენ იძულებულები ვართ ცეცხლი წავუკიდოთ ბრბოს, სადაც შეიძლება ზანგებთან ერთად, თეთრებიც ვიმსხვერპლოთ. ეს ნაბიჯვრები ამას ხვდებიან და სარგებლობენ კიდევაც. ზოგიერთ სამეზობლოში ისეთ წინააღმდეგობას ვხვდებით, რომ თითქმის შეუძლებელია მიზნის მიღწევა და მრავალგვარი რასობრივი ჯგუფის ანკლავებად დაყოფა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც რასობრივ დაყოფაში იჩენს თავს არის ის, რომ

შეუძლებელია ამ არეალში მცხოვრები უამრავი ადამიანი მარტივად მიაკუთვნოთ თეთრკანიანებს ან არათეთრკანიანებს. გადაჯიშების პროცესი ისე შორს მიეჭანება ამ ქვეყანაში, რომ ირგვლივ ყველა ზომისა და ფორმის ყავისფერ, ხუჭუჭათმიან პერსონაჟს ვხვდებით. არავინ იცის, სად გაავლოს ზღვარი.

მიუხედავად ამისა, ზღვრის გავლება მაინც მოგვიწევს, თანაც რაც შეიძლება სწრაფად! არეალში ყველას გამოკვებას ვერ შევძლებთ და თუ გვინდა, რომ თეთრები მასიური შიმშილისგან გადავარჩინოთ, ისინი გარკვეულ საზღვრებში უნდა მოვაქციოთ, სადაც ელექტროობა, წყალი, საკვები და ყველა საჭირო პროდუქტი ხელმისაწვდომია. სხვა დანარჩენი კი ამ ტერიტორიიდან უნდა გავასახლოთ, რაიმე გზით. რაც უფრო მეტს შევყოვნდებით, მით უფრო დაუმორჩილებელი გახდება საზოგადოება.

რეალურად, ზანგების თავმოყრა საკმაოდ კარგად მოვახერხეთ. დაახლოებით 80% უკვე პატარა ანკლავებშია გამოძწყვდეული და შევიტყვე, რომ პირველი რაზმი აღმოსავლეთში დღეს საღამოს მიემართება. თუმცა, რაც შეეხება დანარჩენს, ჩვენ მხოლოდ საზოგადოების იმობილიზირება შევძელით, ამგვარად, ისინი ერთი სამეზობლოდან მეორეში ვერ გადაინაცვლებენ. მაშ, ჩვენ ისინი კონტროლქვეშ არ გვყავს და რამდენადაც ვიცი, საყოველთაო დაკავებები ან სხვა სახის მოქმედებები ებრაელებისა და მტრული ელემენტების წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ დაგვიწყია. მოდი, ახლა ამას მივხედოთ!

19 ივლისი, 1993 წელი. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში ისტორიაში ჭეშმარიტად ყველაზე დიდი მიგრაციული მასის მოწმე გავხდით: ზანგების, მეტისებისა და ვიეტნამელი მიგრანტების სამხრეთ კალიფორნიიდან ევაკუაცია. თითქოს უკვე მილიონობით დღე გავიდა, რაც მათ გასაძევებელ მსვლელობებს ვაწყობთ, მაგრამ როგორც ჩანს, დასასრული არ აქვთ.

საღამოს შეხვედრაზე გავიგე, რომ ხვალ ევაკუაციის ბოლო დღეა. ამის შემდეგ მხოლოდ მათი ჯგუფებად, ყოველ ჯერზე რამდენიმე ათასი კაცის გადაგზავნა რჩება. ამავდროულად, გზააზნეულებს ავიყვანთ და რასობრივად შერეული არეალებში ხალხის გამოყოფასაც დავასრულებთ.

ჩემი და ჩემი ჯგუფის ვალდებულება იყო ეპოვა ტრანსპორტი მათთვის, ვისაც ფეხით გადაადგილება არ შეეძლო. თავდაპირველად ბორტიანი სატვირთოებითა და უზარმაზარი ტრაქტორ-ტრაილერით აღვიკაზმეთ, რომელთაც ყოველ ჯერზე ათასობით ადამიანის გადაყვანა შეეძლოთ და გადავედით ნებისმიერი სახის სადისტრიბუციო ფურგონისა და ავტოფურგონის გამოყენებაზე, რომელსაც აქვე, ან ზანგებისა და მექსიკელების უბნებში ვპოულობდით: საერთო ჯამში, დაახლოებით 6,000 ფურგონი.

თავდაპირველად ვეცადეთ ფრთხილად დავრწმუნებულიყავით, რომ ყოველ ფურგონს საკმარისი საწვავი ჰქონდა, რომ მტრის ტერიტორიაზე ცალმხრივი გზა დაეფარა, მაგრამ ამას ძალიან დიდი დრო მიჰქონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ გონივრულად განგვესაზღვრა ჰქონდა თუ არა თითოეულ ფურგონს მგზავრობისთვის საკმარისი საწვავის მინიმალური რაოდენობა.

გასულ დღეს ფურგონები ამოგვეწურა, ამიტომ დღეს უბრალოდ ავტომობილებს ვიყენებდით. დაახლოებით 300 კაცს გავწვდით, რომელიც 10 ჯგუფებად დავანაწილე. ყოველ ჯგუფში 50-მდე ახალგაზრდა ზანგი მოხალისე იკრიბებოდა - საკვების დაპირებით - რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მანქანებისთვის ცეცხლი წაკიდების პროფესიონალები იყვნენ.

შემდეგ, ჩვენმა რაზმმა გადმოსატვირთი პორტების არეალში, ფოლკსვაგენიდან კადილაკის ჩათვლით, ნებისმიერი გაჩერებული მანქანის გატაცება დაიწყო, რომელიც იქოქებოდა და რომლის საწვავის მაჩვენებელიც მეოთხედით სავსე ავზს მაინც უთითებდა.

იქ, ჩვენი ზანგი, მანქანების ქურდი მოხალისეები ბორბლებში უკრავდნენ თავს ორსულ ზანგ ქალებს და ხანშიშესულ ხეიბრებს, მანქანას ავსებდნენ რაც შეიძლება მეტი ზანგი ბავშვითა და სხვადასხვა კოჭლი, ავადმყოფი და უძლური არათეთრკანიანებით, რომელთა წაყვანაც შეეძლოთ - ზოგს მანქანის სახურავებზე და ბამპერზეც კი ათავსებდნენ - ბოლოს კი კვლავ მანქანებს უბრუნდებოდნენ.

გამაკვირვა იმის ნახვამ, თუ როგორ უგულოდ ექცევიან ჩვენი მოხალისე ზანგები თავიანთ ხალხს. ზოგი უფრო მოხუცი ზანგი, რომელმაც თავის დაცვა ვერ შეძლო, სიკვდილის აშკარა ზღვარზეა შიმშილისა და დეჰიდრაციისგან, თუმცა ჩვენი მოხალისეები მათ მაინც საკმაოდ უხეშად ეპყრობიან და ისე ვიწროდ ტენიან მანქანებში, რომ მათი ყურებაც კი მაწუხებს. როდესაც აღმოსავლეთის ავტოსტრადისკენ მიმავალი ერთ-ერთი კადილაკი გარიყულებით გაივსო, მოხუც ზანგს ძალა გამოეღია, თავი ჩამოართყა ქვაფენილს და თავის ქალა კვერცხივით დაემსხვრა. ზანგებმა, რომლებმაც მანქანა დატვირთეს, გადაიხარხარეს. როგორც ჩანს, ეს ყველაზე სასაცილო რამ იყო, რაც ბოლო ხნის განმავლობაში უნახავთ.

საშინელი ლოჯისტიკა გვქონდა. ჩვენ ვარღვევდით წიგნში მოცემულ ყველა უსაფრთხოების წესს და ხშირად ექსტრაორდინალურ რისკზე მივდიოდით. ათასობით მომენტი იყო, როცა ზანგებს ჩვენზე თავდასხმა შეძლოთ, მაგრამ ამისთვის საკმაოდ ვიწროდ ვიყავით მიმოფანტულები. ხშირად გვიწევდა მათ გადავსებულ ანკლავებში მძიმედ მუშაობა, თანაც, სარეზერვო პერსონალის გარეშე, რომელსაც საფრთხის შემთხვევაში უნდა გადავერჩინეთ.

მართლა არ მყავს საკმარისი ადამიანი, რომ ამ დავალებას სათანადოდ გავუმკლავდე, ჩვენ ყველა მინიმუმ 18 საათს ვმუშაობთ დღეში და ხშირ შემთხვევაში შესვენებას იქამდე არ ვიღებთ, სანამ დაღლილობისგან ბორძიკს არ ვიწყებთ. საბედნიეროდ, ხვალ ბოლო დღეა, რადგან არამგონია ან თანამებრძოლები, ან იღბალი კიდევ შემომრჩეს.

რასაც ამ დრომდე მივაღწიეთ მართლაც თვალსაჩინოა. ჩვენ გავიყვანეთ საშუალოდ ნახევარი მილიონი არათეთრკანიანი, რომელიც, ამას ალბათ ფეხით ვერ შეძლებდა. ყოველი მათგანზე ახლა სისტემამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა - რომ გამოკვებოს, დაასახლოს, ჩააცვას და საფრთხისგან დაიცვას. დაახლოებით 7 მილიონი ზანგისა და მექსიკელის ფონზე, რომელთაც ჩვენ მათ ვუგზავნით, მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა!

მთელი ეს ევაუკაცია ახალი სახის საომარი მოქმედებაა: დემოგრაფიული ომი. ჩვენს არეალს არა მხოლოდ ვაცილებთ არათეთრკანიანებს, არამედ კიდევ დამატებით ორ რამეს ვაკეთებთ, რომელიც მალე სასარგებლოდ შემოგვიბრუნდება. მათი მტრის ტერიტორიაზე განთავსების შედეგად, სისტემის უკვე დაუძღვრებულ ეკონომიკას კიდევ უფრო დავაწვებით და საზღვრებთან მცხოვრები თეთრკანიანების ცხოვრებას გაუსაძლისს გავხდით.

მას შემდეგაც კი, როცა ევაკუირება მთელ ქვეყანას მოედება, კალიფორნიის გარეთ, არათეთრკანიანი მოსახლეობის განსახლების სიმჭიდროვე 25%-ით გაიზრდება. ყველაზე ტვინგამოლაცული თეთრი ლიბერალებიც კი შემაჩნევენ „ძმობის“ გაზრდილ დოზას, რომელიც ძნელია გადაყლაპო.

ერთი საათის წინ, როცა დანაყოფის შეხვედრაზე მივდიოდი, ლოს - ანჯელესის მთავარი საევაკუაციო გზიდან ქალაქს გადავხედე. მზე უკვე ჩასული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად ვხედავდი და გამაოცა წინ გადაშლილმა ფერადი ცხოვრების უზარმაზარმა ნაკადმა, რომელიც ნელ-ნელა აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა. ამ სიმაღლიდან, არაჯანსაღი, უსარგებლო ნაკადი თვალსაწიერში კიდევ უფრო ფართოვდებოდა. მოგვიანებით, ავტოსტრადის გასწვრივ, ქუჩებზე ლამპიონებს გავანათებთ და მარში მთელი ღამე

გაგრძელდება. დილის სიცხეში, ქმედითუნარიანთა ევაკუაცია საკმარისად დაჩქარდება, ჩვენი მანქანები კი კვლავ განაგრძობენ ავტოსტრადაზე მოძრაობას. თავდაპირველად აღმოვაჩინეთ, რომ როდესაც დემონსტრანტებს ვაიძულებდით დღის განმავლობაში ემოძრავათ, ისინი ბუზებივით იხოცებოდნენ.

არათეთრკანიანთა უზარმაზარი ნაკადის ხილვამ სიმსუბუქის საოცარი შეგრძნება დამიტოვა, რომ ისინი ჩვენ და ჩვენს ტერიტორიას შორდებოდნენ. ზიზღისგან ტანში ჟრუანტელმა დამიარა როცა წარმოვიდგინე, რომ თითქოს საევაკუაციო გზის ბოლოში ვიდექი და ვხედავდი, როგორ მიახლოვდებოდა ეს ჯოგი მე, ჩემს ტერიტორიას.

სისტემის ბოსებს რომ არჩევანი ჰქონოდათ, საზღვრიდან იარაღით დააბრუნებდნენ ამ ზანგებს. თუმცა რადგანაც საზღვარს ძირითადად არათეთრკანიანი ჯარები აკონტროლებდნენ, რთული იყო მათთვის გაგვეცა ბრძანება, რომ ამ არათეთრკანიანი ნაკადისთვის ცეცხლი გაეხსნათ. რაც ეს წარღვნა დაიწყო, მათ ვერ იპოვეს გზა მის შესაჩერებლად.

ისინი საკუთარ პროპაგანდის ხაზზე გაეხნენ მახეში, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველი ეს არსება „თანაბარია“ მისი „ადამიანური ღირსებით“ და ასე შემდეგ, ამიტომ შესაბამის მოპყრობას იმსახურებს. დიახ სერ, საქმეები უმჯობესდება და დარწმუნებული ვარ, რომ სხვაგან სიტუაცია კიდევ უფრო და უფრო შავი ხდება!

ამის მტკიცებულებაა თეთრკანიან მიგრანტთა კონტრნაკადი, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან გამოჩნდა. გასული 10 დღის განმავლობაში, ყოველდღიურად 100 მათგანი კვეთდა საზღვარს, ახლა კი მათი რიცხვი რამდენიმე ათასამდე გაიზარდა. საზღვრის მცველებმა დღემდე ჯამში 25,000-ზე მეტი თეთრკანიანის შემოსვლა დააფიქსირეს.

მათი უმეტესობა, როგორც ჩანს, ცდილობს გაექცეს ზანგ რაზმებსა და ევაკუირებულ ზანგებსა და მექსიკელებს, რომლებიც მტრის ტერიტორიის საზღვარს მიაწყდნენ. თუ მათთვის დასავლეთში მეტად მარტივია გაქცევა, ვიდრე აღმოსავლეთში, დაე ასე იყოს.

თუმცა, დაახლოებით 10% სასაზღვრო ტერიტორიიდან არ არის. ისინი თეთრკანიანი მოხალისეები არიან, რომლებმაც განზრახ გადმოკვეთეს საზღვარი, რომ ჩვენს ბრძოლაში ჩაერთონ. ზოგი მათგანი აღმოსავლეთ სანაპიროდან წამოვიდა, მთელი ოჯახები, ახალგაზრდა მამაკაცებთან ერთად, რომლებმაც მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება, როცა ქვეყნისთვის აშკარა გახდა, რომ რევოლუციამ აქ ჭეშმარიტად მოიკიდა ფეხი.

24 ივლისი. ბიჭო! მე მართლაც ყოვლისმცოდნე ვხდები. ახლახან დავბრუნდი შტაბ-ბინის მიმართულელებით მოგზაურობიდან, სანტა-ბარბარას უზარმაზარ ელექტროსადგურში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ. იგი გაუმართავი იყო, ყოველ დღე აზიანებდა ჩვენს ელექტროობას, მე კი უნდა გამერკვია რა სჭირდა. თან მექანიკოსების ჯგუფი წავიყვანე, რომ შემეკეთებინა. კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როცა სამოქალაქო საზოგადოება თვითორგანიზებას მოახდენს, ამგვარად ხალხი, რომელიც მოწყობილობების მუშაობაზეა პასუხისმგებელი, კვლავ დაუბრუნდება სამსახურს.

მაგრამ პირველ რიგში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენასა და ადეკვატური სასურსათო მარაგის უზრუნველყოფაზე უნდა ვიზრუნოთ. წესრიგი ჯერ კიდევ არ გვაქვს, მაგრამ ქალაქს საკმარის საკვებს მაინც ვაწოდებთ, რომ მასობრივი შიმშილი ავირიდოთ თავიდან. სანტა-ბარბარაში მოგზაურობის დროს ოდნავ გავაცნობიერე, თუ როგორ ვახერხებთ ამას.

ქალაქგარეთ თეთრკანიანი ახალგაზრდების დაახლოებით ასამდე ორგანიზებულ ჯგუფს ჩავუარე, ზოგი ხეხილის ბაღებსა და კორომებში მუშაობდა, ზოგი ქუჩას სიმღერით მიუყვებოდა, მხარზე კი ხილით სავსე კალათები ჰქონდა გადაკიდებული. ყველა მათგანი ნამხეურები, ბედნიერი და ჯანსაღი ჩანდა. როგორი განსხვავებული სურათია ქალაქის მასობრივი შიმშილისა და არეულობის ფონზე!

მანქანა 20 ახალგაზრდა გოგოს ჯგუფის გვერდით გავაჩერე. ყველა მათგანი სამუშაო ხელთათმანებს ატარებდა, თუმცა სხვადასხვა შორტები და ტანსაცმელი ემოსა. მათი ლიდერი 15 წლის ჭორფლებიანი გოგონა იყო, ნაწნავებით, რომელმაც მხიარულად წარმიდგინა მისი ჯგუფი, როგორც ლოს ანჯელესის 128-ე სასურსათო ბრიგადა. მათ ეს-ესაა დაასრულეს ხუთსაათიანი ხილის კრეფის სამუშაოები და ლანჩისთვის კარვების ბანაკში მიემართებოდნენ.

მაშ, ჩემთვის ვიფიქრე, რომ ეს ბრიგადად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი ამკარად უკეთაა ორგანიზებული ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ვიცნობ. ვიცოდი, რომ გოგონა საკმაოდ ახალგაზრდა იყო ორგანიზაციის წევრობისთვის და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ის ყოველგვარი პოლიტიკური მოტივებისგან სრულებით განდევილი იყო.

მხოლოდ ის იცოდა, რომ ქალაქში სიტუაცია საშიში და არეულია, ამგვარად, როდესაც სასიამოვნო გარეგნობის სამკლავურიანი ქალბატონი სურსათის სადისტრიბუციო ცენტრში მას და მის მშობლებს ელაპარაკა და უთხრა, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც ჩაერთვებიან ფერმის სამუშაოებში, ყურადღებას მიაქცევენ და კარგად გამოკვებავენ, ისინი გოგონას წასვლაზე დათანხმდნენ. ეს ერთი კვირის წინ მოხდა, გუშინ კი ის გოგონების ჯგუფის ლიდერად დანიშნეს.

მე მას ვკითხე, თუ რას ფიქრობს თავის სამუშაოზე. თქვა, რომ რთულია, მაგრამ იცის, რომ მისთვის და მისი გოგონებისთვის მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მეტი ნაყოფი შეაგროვონ, ამგვარად, ქალაქში მყოფი მშობლები და მეგობრები ჭამას შეძლებენ. ზრდასრულებმა ბანაკში აუხსნეს მათ, თუ როგორი საციცხლოდ აუცილებელი ვალდებულება აკისრიათ.

ესაუბრნენ თუ არა მათ რევოლუციის მნიშვნელობაზე? არა, მან არაფერი იცოდა ამაზე, მხოლოდ ის, რომ მექსიკელი ფერმერები წავიდნენ, ახლა კი თეთრკანიანებს უწევთ სრული სამუშაოს შესრულება. ფიქრობს, რომ ეს ალბათ კარგი იდეაა. თითოეულ გოგონას კონკრეტული საქმის შესრულებას, ასევე სამუშაო სიმღერებსა და ჰიგიენის წესებს ყოველ საღამოს, კოცონის ირგვლივ ასწავლიან.

მაშ, ეს 12-15 წლის ახალგაზრდებისთვის ცუდი დასაწყისი არ უნდა იყოს. დამატებითი განათლების დროც მოვა. ნეტავ ზრდასრულებიც ისეთივე კოოპერატიულები იყვნენ, როგორც ბავშვები!

გოგონებს მხოლოდ ერთი საჩივარი ჰქონდათ: მათ საკვები ბლომად ჰქონდათ, თუმცა მხოლოდ ხილი და ბოსტნეული, არანაირი ხორცი, რძე ან პური. როგორც ჩანს ხალხს, რომელიც სასურსათო ბრიგადებს უწევს ორგანიზებას, ლოჯისტიკის პრობლემები ჯერ კიდევ გამოსასწორებელი აქვს. ჩვენ გოგონებს კონსერვირებული სარდინების ნახევარი ყუთი და რამდენიმე შეკვრა ორცხობილა, რომელიც მანქანაში გვქონდა, ვაშლებით სავსე კალათაში გავუცვალე. ორივე მხარე კმაყოფილი იყო გარიგებით.

გავდიოდით რა ლოს-ანჯელესის ჩრდილოეთით მდებარე მთებში, მოულოდნელად დემონსტრანტების გრძელ კოლონას შევხვდით, რომელსაც ამერიკელი ჯარისკაცები და ორგანიზაციის წევრები მკაცრად აკონტროლებდნენ. შევანელე და ტყვეებს ახლოდან დავაკვირდი. ვცდილობდი მივმხვდარიყავი, ვინ იყვნენ. ზანგებს ან მექსიკელებს არ ჰგავდნენ და მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყო თეთრკანიანი. ბევრ მათგანს მკაფიოდ ებრაული სახე ჰქონდა, მაშინ როცა სხვებს ისეთი სახის ნაკვთები და თმები ჰქონდათ, რომელიც ნეგროიდულ გენეტიკაზე მიგვითითებდა. მწკრივის თავმა მთავარი გზიდან გადაუხვია ტყის ბილიკისკენ, რომელიც კლდოვან კანიონში უჩინარდებოდა, მაშინ, როცა მწკრივის ბოლო ჯერ კიდევ ქალაქისგან რამდენიმე მილის მოშორებით შემჭიდროვებულიყო. იქ დაახლოებით 50,000 ადამიანი იყო, ყველა ასაკის და ორივე სქესის, თანაც მხოლოდ რიგის იმ ნაწილში, რომელსაც ჩვენ ჩავუარეთ.

შტაბ-ბინაში დაბრუნებულმა, უცნობ მარშზე მოვიძიე ცნობები. მიუხედავად იმისა, რომ არავინ იყო დარწმუნებული, დასკვნა გამოვიტანე, რომ ისინი ებრაელები და შერეული ჯიშის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ძალიან მსუბუქი ელფერი ჰქონდათ იმისთვის, რომ აღმოსავლეთში გაგზავნილ ევაკუირებულებთან ერთად მოხვედრილიყვნენ. ახლა რაღაც ისეთი გამახსენდა, რამდენიმე დღის წინ რომ თავგზა ამიზნია: მსუბუქად შავკანიანი და თითქმის თეთრკანიანების განცალკევება, ოქტორონები და კვარტერონები, აზიელებისა და სამხრეთული კლიმატის ნაჯვარები, რომლებიც თავმოყრისა და ევაკუაციის განმავლობაში კლასიფიკაციას არ ექვემდებარებოდნენ.

ვფიქრობ, ახლა მესმის. მარტივად გარჩევადი არათეთრკანიანები სწორედ ისინი არიან, რომელზეც გვინდა გავზარდოთ რასობრივი ზეწოლა კალიფორნიის ტერიტორიაზე. თეთრი ნაჯვარების არსებობა მეტ-ნაკლებად არევეს სიტუაციას და ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ მალე თეთრებად წარმოადგენენ თავს. ჯობს ახლა გავუმკლავდეთ, როგორც კი ხელს ჩავავლებთ. ვეჭვობ, რომ მათი მოგზაურობა ჩრდილოეთ კანიონისკენ ცალმხრივი იქნება!

თუმცა ნათელია, რომ ფილტრაცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ჩვენ გავწმინდეთ სრულად ზანგებისა და სრულად მექსიკელების ტერიტორიები და რამდენიმე ებრაული სამეზობლო, მაგრამ ჯერ კიდევ არის ადგილები, რომლის ნახევარიც ჩვენ კონტროლქვეშაა აყვანილი - სადაც გამეფებული ქაოსი ებრაელებს დომინირების საშუალებას აძლევს. ისინი

